წელიწადი პირველი

ფასი 5 კაპ.

ოთხშაბათი, 30 ქრისტეშობისთვე 1915 წ. № 179

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის:
Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს [illegible] კ., უკანასკნელზე—10 კ. [illegible] გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ეღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლ. გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ეღირება 4 მ.

დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

მიიღება ხელის მოწერა

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

„საქართველო“

1916 წ.
წელიწადი მეორე

უპრემიოდ ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ღირს 8 მ. 50 კ. ფასის გადახდა შეიძლება სამ ვადაზედ: 1 იანვრამდე 3 მ., 1 მაისამდე 3 მ., 1 ენკენისთვემდე 2 მ. 50 კ., თვიურად—80 კ.

პრემიით გაზეთი წლიურ ხელის მომწერთათვის ღირს 10 მან. ფასის გადახდა შეიძლება სამ ვადაზედ: 1 იანვრამდე 5 მან., 1 მაისამდე 3 მან., 1 ენკენისთვემდე 2 მან. ვინც 1 მარტამდე 9 მან. ერთბაშად შემოიტანს, გაზეთს ყველა პრემიით მიიღებს.

პრემიები:

1) სალიტერატურო კრებული „მერანი“ გამოვა სამ თვეში ერთხელ. ყოველ კრებულში მოთავსებულ იქნება ჩვენი მწერლების რჩეული ორიგინალი ნაწარმოებნი ცნობილ ქართველ მხატვრების მიერ დასურათებული.
2) „საქართველოს“ ბიბლიოთეკა „ჩვენი მრწამსი“ წიგნაკებად, საქართველოს ეკონომიურს და პოლიტიკურს საკითხებზედ.
3) საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური დიდი რუკა.

ცალკე მყიდველთათვის თვითეული კრებული ეღირება 1 მან. 30 კ., რუკა—2 მან., საქართველოს ბიბლიოთეკის თვითეული წიგნაკი—50 კაპ.

ფულის გაგზავნა და ხელის მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში ქ. თბილისი, მოსკოვის ქუჩა, სახლი გაბაშვილისა № 4. ფოსტის ყუთი 76. (Тифлисъ Московская ул. домъ Габаева № 4. почтовый ящикъ № 76.) და ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზოგადოების ბუხჰალტერთან ვასილ ედილაშვილთან. დეპეშისათვის—თბილისი „საქართველო“.

პროვინციებში ხელისმომწერის მიმღებ აგენტების სია ცალკე გამოცხადდება.

რედაქტორ-გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი.**

გაზეთის კანტორა ღიაა დილის 9—3 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

მიიღება ხელის მოწერა

პირველი წელი

„საქართველო“-ს რედაქციის თაოსნობით 1916 წლიდან სამთვეში ერთხელ გამოვა

კაზმული და სამხატვრო კრებული „მ ე რ ა ნ ი“

მიიღება ხელის მოწერა

კრებული წლიურ ხელის მომწერთათვის ღირს 4 მანეთი. ფასის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილად: 1 მარტამდე 2 მანეთი, 1 თიბათვემდე 2 მანეთი, ცალკე ნომერი ეღირება 1 მ. 30 კ. კრებულში მოთავსებული იქნება ჩვენი მწერლების რჩეული ნაწარმოებნი ცნობილ ქართველ მხატვრებისგან დასურათებული. შემოდგომის კრებული საგანგებოდ მიეძღვნება ჩვენი დიდებულის მგოსნის ნ. ბარათაშვილის ძვირფას ხსოვნას მის დაბადებიდან ასი წლის თავის აღსანიშნავად.

ხელის მოწერა მიიღება „საქართველოს“ რედაქციის კანტორაში, თბილისი, მოსკოვის ქუჩა № 4.

გაზეთ „საქართველო“-ს წლიურ ხელის მომწერთ კრებული „მ ე რ ა ნ ი“ უფასოდ დაურიგდებათ.

კნ. დარია გიორგის ასული სუმბათაშვილისა ღუნიკო და ზაქარია გიორგის ძენი თ-დ. ფალავანდიშვილები აცხადებენ თავიანთ დისწულის პოდპორუჩიკის

თ-დ ივანე თეიმურაზის ძე ამილახვარის

ნახევარ წლის პანაშვიდის გადახდას, რომელიც ბრძოლის ველზედ უკვალოდ დაიკარგა. პანაშვიდი და წირვა დანიშნულია ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში 31 იანვარს შუადღის 12 საათზე.

ქუთაისის საზოგადო საკრებულო

მოუწოდებს მსურველთ:

I. **ეკონომის თანამდებობაზე** და
II. **საზაფხულო და საზამთრო სადგომებში ბუფეტის მოიჯარადრეს.**

პირობების გასაგებად შეუძლიანთ მიმართონ მორიგ მამასახლისს ყოველ დღე, საღამოს რვა საათიდან თერთმეტამდე 20 იანვრიდან 1916 წლ.

მამასახლისთა საბჭო.

(3—21—2)

სახალხო სახლი (კ. ზუბალაშვილის სახელობისა)

ოთხშაბათს 30 ქრისტეშობისთვეს 1915 წ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

I

გ ა მ ც ე მ ი

დრამა 3 მოქმ. და 4 სურ. ი. გედევანიშვილისა.

II

გულმა იგრძნო

ვოდევილი 1 მოქმედებად.

მონაწილეობას მიიღებენ: აბაშიძე ტასო, დავითაშვილი ნინო, ქიქოძე ანეტა, ჯავახიშვილი ნ., ჩერქეზიშვილი ელენე, აბაშიძე ვასო., გუნია ვალერიან, გომელაური ზ., იმედაშვილი ა., იმხნელი გიორგი, მგალობლიშვილი, ჟღვიძე იოსებ.

ადგილების ფასი 15 კ.-დან 1 მ. 50 კ.-მდე. ◆ ◆ **დასაწყისი საღამოს 8 ს.**

რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი.

ადმინისტრ. ქართული დრამატიული საზოგადოებისა.

(2—22—2)

1916 წ. მიიღება ხელის მოწერა

დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ

„ნ ა კ ა დ უ ლ“-ზე

წელიწადი მეთორმეტე

ჟურნალი „ნაკადული“ გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ

24 წიგნი „ნაკადული“-სა მცირე წლოვანთათვის. **12** წიგნი „ნაკადული“-სა მოზრდილთათვის.

ყოველი წიგნის 1-ლ გვერდზე იქნება მოთავსებული გამოჩენილ მხატვართა ნახატი

ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—5 მან. იმათთვის, ვინც ჟურნალს რედაქციაში მოიკითხავს, გაგზავნით კი 6 მან. ნახევარ წლით—3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ., ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის **24 წიგნი** 3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ. მოზრდილთათვის **12 წიგნი**—3 მან. გაგზავნით 3 მ. 50 კ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ვსთხოვთ ხელის მომწერლებს თუ ჟურნალი „ნაკადული“ არ მისდით, ერთი თვის განმავლობაში გვაცნობონ და ადრესის გამოცვლა დროზე შეგვატყობინონ ადრესის გამოსაცვლელად—40 კ. შეიძლება მარკებით გამოიგზავნოს.

ხელის მოწერა მიიღება

ტბილისში—„ნაკადული“-ს რედაქციაში, ზუბალაშვილის სახლი გოლოვინის პროსპ. № 8. Редакція „Накадули“, Головинскій пр. № 8. შემოსასვლელი დავითის ქუჩიდან, № 2. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქ. **ქუთაისში**—ისიდორე კვიცარიძესთან, მ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთავრიშვილთან. **სამტრედიაში**—ვლ. ნაცვალაძესთან. **ფოთში**—ლუდმილა მეგრელიშვილთან. **ბათომში**—ტროფიმ ინასარიძესთან ფოსტაში, და ანასტასია ლომინაძესთან. **ოზურგეთში** და **ლანჩხუთში**—ლეო იმნაძესთან. **თელავში**—ვანო პაატაშვილთან. **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან. **ბაქოში**—მარიამ ნაკაშიძესთან. **გორში**—ქეთევან ჯავახიშვილთან და ნინო ლომოურთან. **ჭიათურაში**—ივ. გომელაურთან. **ხონში**—მ. ი. ჭავჭანიძესთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე**

გამომცემელი **თ-დ პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.**

მოკლე ხანში ხელის მოწერით გამოვა

კიკნა-ფშაველის

პოემებისა და რჩეულ ლექსების კრებული, რომელსაც წინ დაერთვის ავტორი სურათი, მოკლე ბიოგრაფია-წინასიტყვაობა და **დ. კასრაძის** კრიტიკული წერილი.

წიგნი ეღირება ათ შაურად

ხელის მოწერა შეიძლება „თეატრის და ცხოვრების“ რედაქციაში და **მიხ. ხერხეულიძესთან:** თბილისი, პარკოვსკის ქ. № 27.

ქ. გ ო რ შ ი

ექიმი ნ. მ. კლიმიაშვილი

იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს.

აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან.

კბილის ექიმი

ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და სად. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

ახალი აფთიაქი

◆ **პროვიზორის ახვლედიანისა** ◆

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და **ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

ექიმი-დოსტაქარი

გ. მ. მ უ ხ ა ძ ე

იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

ე ქ ი მ ი

მ. დ. წინამძღვრიშვილი

უ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს **შინაგან სნეულებიან** ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად. საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

კ ბ ი ლ ი ს ე ქ ი მ ა

მ ა მ უ ლ ა ი შ ვ ი ლ მ ა

(ხოდნევისამ)

განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.

ოლღას ქუჩა, № 22.

ო მ ი ს ა მ ბ ე ბ ი

ომის დეპეშები

29 ქრისტეშობისთვე.

უმაღლეს მთავარ სარდლის შტაბისა

პეტროგრადი. ოფიციალი. დასავლეთი ფრონტი. გუშინდელმა დღემ მთელს ფრონტზე საზოგადოდ წყნარად ჩაიარა. გალიციაში და ჩერნოვიცის აღმოსავლეთით მტერს დიდი ზარალი მოუვიდა. მთელს გუშინდელ დღის განმავლობაში ვერავითარი აქტივობა ვერ გამოიჩინა. მათი ცდილობა, რომ ხელი შეეშალათ ჩვენთვის დაჭერილ ადგილების გამაგრებაში, სრულიად ამაო იყო და უშედეგო.

კავკასიის ფრონტი. ზღვის ნაპირებზე რუსის მზვერავები ღამით მიუახლოვდნენ ხიდს, რომელიც გადაკიდულია მდ. არხავეს მარჯვენა ნაპირიდან ერთ-ერთს პატარა კუნძულზე. ხიდი ააფეთქეს და შემდეგ მშვიდობიანად დაბრუნდნენ უკან.

ცეტინიე, 28 ქრისტეშობისთვე. აღმოსავლეთ ფრონტზე ლეპენაცის მახლობლად ჩვენ შევუტიეთ იერიშით. ბრძოლა მეტად მკაცრი და შეუწყნარებელი იყო. ჩვენი ზარალი ფრიად საგრძნობელია, მაგრამ მტრისა გარდამეტებულია. ასეთივე მკაცრი ბრძოლაა როჟანბერანის მიმართულებით, სადაც მტერმა საბოლოოდ დაიჭირა ურიაკი. ჩვენ გადაველით ლესნიცის მარცხენა ნაპირზე. სხვაფრივ, სადაც კი იერიში მოიტანეს ავსტრიელებმა, ყველგან მოვიგერეთ.

ათინა, 27 ქრისტეშობისთვე. გაზეთები სხვა და სხვა ტონზე მსჯელობენ, მიტილენში მოკავშირეთა მიერ ავსტრო-გერმანელ-ბულგართა ელჩების დაჭერის შესახებ. საბერძნეთის მთავრობამ პროტესტი განუცხადა.

ნიუ-იორკი, 28 ქრისტეშობისთვე. კარნეისპონტში დიუპონის თოფის-წამლის ქარხანაში აფეთქება მოხდა. როგორც ჰფიქრობენ, მსხვერპლი 13 კაცია, დაჭრილთა რიცხვი ჯერ კიდევ გამოურკვეველია. კატასტროფას ბოროტ-გამზრახველის ნაყოფს აწერენ. ფილადელფიასთან სატელეგრაფო დამოკიდებულება შეწყვეტილია.

პარიზი, 28 ქრისტეშობისთვე. შამპანში გუშინდელ დღიდან მტერი ავითარებს დაწყებულს იერიშებს. ზურგს იმაგრებენ ძლიერი ქარიშხალისებური სროლით და მოშხამული გაზებით. მთელი დღე და ღამის განმავლობაში ოთხჯერ წამოვიდნენ კონცენტრიული იერიშებით რვა კილომეტრის სიგრძეზე ლაკურტიდან მონტერიუმდე, მენიცის გორაკის დასავლეთით და აღმოსავლეთით. ჩვენი არტილერია ჰფანტავდა მათ. მათ მხოლოდ ჩვენი პოზიციების ორი წყება აიღეს მენილის გორაკის ჩრდილო-აღმოსავლეთით და მონტერიუს დასავლეთით, მაგრამ ენერგიული იერიშებით უკუვაგდეთ. მათ მხოლოდ მცირეოდენი ნაწილი შერჩათ ხელში ჩვენი მოწინავე თხრილებიდან.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ჯავშნოსანი „მეფე ედუარდ VII“ დაიღუპა.

ინგლისელთა ჯავშნოსანი „მეფე ედუარდ VII“ ნაღმს წააწყდა და დაიღუპა. ეკიპაჟი მოხსნეს. ხალხიდან არავინ დაღუპულა. მხოლოდ ორი მეზღვაური დასახიჩრდა.

გალიპოლისის გაწმენდა.

ოფიციალი ცნობა მოვიდა, გალიპოლისის ნახევარ კუნძული სავსებით გაწმინდეს მოკავშირეებმაო. გენერალი მონროს ცნობით ინგლისელ-ფრანგთა ჯარები მშვიდობიანად წავიდნენ და წაიღეს იარაღი, გარდა 17 გაუბიცისა, რომელნიც თვითონ მოკავშირეებმა ააფეთქეს წასვლის წინ. ინგლისელების ზარალი არ აღემატება ინგლისურს შერენგს, ფრანგებს ზარალი არ მოსვლიათ.

გენერალი იონესკო.

რუმინეთის სამხედრო შტაბის უფროსმა გენერალმა იონესკომ თავი მოიკლა. მიზეზი ჯერჯერობით გამოურკვეველია, განსვენებულ გენერალს თავის ძმისთვის წერილი დაუტოვებია, სადაც იგი ბევრ საყურადღებოს სწერს, მაგრამ ბუქარესტის ცენზურამ წერილის შინაარსის გამოქვეყნება აკრძალა.

სოლუნის გარშემო.

სოლუნიდან იტყობინებიან, რომ ბულგარ-გერმანეთ-ავსტრიელთა ძალები, რომელნიც შემოკრბენ საბერძნეთის საზღვარზე სოლუნზე გასალაშქრებლად, სულ 13 დივიზიისგან შესდგება. აქედან რვა დივიზია ბულგარებს ეკუთვნის. საბერძნეთი ნებას რთავს მათ საზღვრებზე გადავიდნენ.

გერმანელები ბაღდადში.

ბაღდადში ფონ-დერ-ჰოლც ფაშას მეთაურობით 15 ათას გერმანელს მოუყრიათ თავი და სპარსეთის ყურისკენ გასალაშქრებლად ემზადებიანო. ასევე ემზადებიან ბელუჯისტანისკენ წასასვლელად.

ინდოეთში გალაშქრება სრულიად დამოუკიდებლივ ხდება, ეგვიპტისთვის სხვა ძალებს ჰგზავნიან.

—

გერმანეთის პრესა ინგლისში სავალდებულო სამხედრო ბეგრის შემოღებას ინგლისისთვის დიდ საფრთხედ სთვლის.

—

ამ დღეებში ერთმანეთს შეხვდებიან გერმანეთის რეიჰკანცლერი ბეტმან-ჰოლვეგი და ავსტრო-უნგრეთის საგა-

რეო საქმეთა მინისტრი ბურიანი, მათ შეხვედრას უკავშირებენ ზავზე მოლაპარაკების დაწყებას და საზავო პირობათა შემუშავებას.

სოციალდემოკრატთა თათბირი ჰააგაში

როგორც კოპენჰაგენიდან მოსულ ცნობებით ვგებულობთ ამ მოკლე ხანში ჰააგაში მოხდება სოციალ-დემოკრატთა თათბირი, რომელსაც თავმჯდომარეობას გაუწევს ცნობილი ვანდერველდე.

ვენიზელოსის შესახებ.

საბერძნეთის ყოფილ პრემიერ ვენიზელოსის შესახებ ამ ბოლო ხანს ათინაში ხმა გავრცელდა, რომ მეფე კონსტანტინე მეფობიდან უნდა გადასდგეს და მის ნაცვლად პრეზიდენტად აირჩიონ ვენიზელოსიო. ეს ხმა ოფიციალად ჯერ არ დადასტურებულა.

პოლონეთს იყოფენ

ავსტრო-გერმანელთ უკვე შეუდგენიათ პოლონეთის გაყოფის პროექტი. ახალი საზღვრის ხაზი მიდის კალიშის სამხრეთით, ლოძზე და სედლეცზე. ამ ხაზის ჩრდილოეთით ყველა გუბერნიებს განაგებენ გერმანელები, ხოლო სამხრეთით, სადაც შედიან პეტროკოვისა, ლიუბლინისა და რადომსედლეცის გუბერნიები, ავსტრიელთა განგებლობაშია. გუბერნიათა მოწესრიგება უკვე უზრუნველყოფილია. ავსტრო-გერმანელი ფოსტა წესიერად სწარმოებს. ჟურნალ-გაზეთობა თუ სხვა რამ რიგზეა მოწყობილი, როგორც თვით ხსენებულს სახელმწიფოებში.

უკანასკნელი ფოსტა

ბულგარელები ოსმალეთში

ბულგარეთის პარლამენტის დეპუტატები სადარბაზოდ წასულან ოსმალეთის დეპუტატებთან.

სალონიკში

სალონიკის გარშემო გერმანეთის და ინგლისელების მოწინავე ჯარების შეტაკება დაიწყო. ელიან გენერალისიმუს ჟოფრს, რომელიც მოკავშირეთა ჯარების წინამძღოლობას გაუწევს.

მინსკში

სმორგონის რაიონიდან გერმანელებს მძიმე არტილერია სამხრეთით გადააქვთ.

ახალი ხელშეკრულობა

ოსმალეთს და გერმანეთს ახალი ხელშეკრულობა დაუდვიათ ბამბის გაზიდვის შესახებ.

შობა ბრძოლის ველზედ

შობის დღეს ბრძოლის ველზედ ბრძოლა ერთ წამსაც არ დამცხრალა.

ბრძოლის ველზე

როგორც ვიცით, ინგლისი ადრე შეუდგა თავის ჯარების წაყვანას გალიპოლის ნახევარ-კუნძულიდან. უკანასკნელი ჯარისკაცები სუვლიდან ამ ორი კვირის წინედ წაიყვანა. პარიზის გუშინდელი ოფიციალის ცნობით, ფრანგებსაც დაუტოვებიათ გალიპოლი. ასე რომ დღეს გალიპოლი სრულიად თავისუფალია მოკავშირეთა ჯარისაგან. დიდი მსხვერპლისა და უნაყოფო ბრძოლის შემდეგ დარწმუნდნენ რომ დარდანელის გარღვევა შეუძლებელი იყო და შეუძლებელის წინაშე ქედი მოიხარეს. სერბიის საბოლოო დამარცხება—დაპყრობის შემდეგ, გალიპოლის დატოვება და დარდანელზე ხელის აღება—მეორე დიდი მოვლენაა ბრძოლის ასპარეზზე. ამ უკანასკნელ გარემოებას ფასდაუდებელი გავლენა ექნება ოსმალეთზე კერძოდ და მთელ სამაჰმადიანოზედ საზოგადოდ.

თუ ამას მიუმატებთ ინგლისელთა დამარცხებას მესოპოტამიაში და ოსმალთა ჯარის შეუჩერებელ ზრდას მესოპოტამიაში თუ სპარსეთში, ჩვენთვის აშკარა გახდება შემოტევის სიფიცხე კავკასიის ფრონტზე.

სალონიკის რაიონის შესახებ დაწვრილებითი ცნობები არ მოდის. კერძო დეპეშებიდან ისღა ჩანს, რომ ბულგარები და გერმანელები აქტიურ მოქმედებას შეუდგნენ.

გერმანეთ-რუსეთის ფრონტზე გუშინდელ 28 ქრისტეშობისთვეს წყნარად ჩაუვლია.

მთელი ერთი კვირაა, რაც სპარსეთის შესახებ არავითარი ცნობა არ მოდის.

მეგრი.

თბილისი, 30 ქრისტეშობისთვე.

კიდევ ერთი კავშირი. ქართველი ერის ცხოველ-მყოფლობა ვერც წარსულ საუკუნეთა დაუნდობლობამ გასტეხა და ვერც დღევანდელი ომისა და სტიქიონის შეერთებულმა შეთქმულობამ. ამ იშვიათ მძიმე პირობებში ქართველი ხალხი თანდათან ეწყობა, ირაზმება და სხვა და სხვა ორგანიზაციას ჰკრავს. ერის ყოველი ნაწილი ჩაება ამ შემოქმედებით მუშაობაში. ერთი მდგომარეობისა და პროფესიის ხალხი ერთად ჯგუფდება და საერთო საპროფესიო მიზნებს ემსახურება. ყველა სცდილობს თავის დარგში მომაგრდეს, თავის მოქმედების ფარგალში საკუთარი ენერგია აამუშაოს. ხალხის მთავარი ყურადღება ეკონომიურ ორგანიზაციების შექმნისაკენ არის მიმართული. სხვა და სხვა კოოპერატივების მოწყობა ქართული მიმდინარე ცხოვრების დამახასიათებელ მოვლენად გადაიქცა. ამ საერთო გლოვისა და ეკონომიურ კრიზისის დროს, საძირკველი ჩაეყარა ისეთ დიდ საქმეს, როგორიც არის კახეთის წვრილი კრედიტის ამხანაგობათა კავშირი, რომელიც ჩვენი ქვეყნის ნივთიერი აღორძინების საქმეს ფასდაუდებელ სამსახურს გაუწევს. საერთო რღვევისა და გაჭირვების დროს ქართული კულტურული დაწესებულებანი ერთდებიან და კულტურულ-ეროვნულ ნიადაგს ამაგრებენ. არსდება ქართველ ვაჭართა საზოგადოება, რომელიც მიზნად ისახავს ქართულ ვაჭრობა-მრეწველობის გაზრდა-გაღონიერებას.

შეუსრულდა დიდი ხნის ზრახვა და წადილი ქართველ სოფლის მასწავლებელს. ქართველი ხალხის ნორჩი თაობის პირველი მეგობრები, მომავალი საქართველოს პირველი აღმზრდელნი დღემდის გაფანტულნი იყვნენ და საშუალება არა ჰქონდათ თავიანთი უმწეო ნივთიერი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ეზრუნათ, ან წმიდა პედაგოგიური მოთხოვნილება დაეკმაყოფილებინათ და ან ებრძოლათ სახალხო სკოლის ეროვნული სულის დასაცავად და გასამტკიცებლად. დღეს მდგომარეობა იცვლება. თუ კახეთმა ამ ორიოდე კვირის წინად საკრედიტო ამხანაგობათა კავშირი დაიარსა, დასავლეთ საქართველომ 27 ამ თვეს საძირკველი ჩაუყარა სახალხო მასწავლებელთა კავშირს. ჩვენი ქუთათელი კორესპონდენტი დღევანდელს ნომერში გადმოგვცემს ანგარიშს პირველ დამფუძნებელ კრებებისას, რომელსაც ორასამდე სოფლის მასწავლებელი დასწრებია.

დიდი და სასიხარულო მოვლენაა. ორასამდე სოფლის მასწავლებელი, ჩვენი მშრომელი ხალხის ჭირ-ვარამის პირველი მესაიდუმლენი და მცოდნენი, საერთო კრებაზედ შეყრილან, რომ შექმნან მტკიცე ორგანიზაცია და რაციონალად უხელმძღვანელონ ერის მომავალი თაობის სულიერ აღზრდას. დღემდე ყველაზედ უფრო აბუჩად აგდებული და უყურადღებოდ დატოვებული როგორც მთავრობისა, აგრეთვე საზოგადოების მიერ, ჩვენი სოფლის მასწავლებელია. ვინც უაღრესი გულის ყურის და საერთო ზრუნვის საგანი უნდა ყოფილიყო, სწორედ ისინი არიან მოკლებული საზოგადოების თანაგრძნობას. ასეთ მდგომარეობის წინააღმდეგ ბრძოლა თვით სოფლის მასწავლებლებს უნდა დაეწყოთ და ამ მხრივაც მათი საპროფესიო კავშირის დაარსება მეტად სარფა და ნაყოფიერი გამოდგება.

გულმხურვალეთ ვულოცავთ დასავლეთ საქართველოს სოფლის მასწავლებელთ პირველ ნაბიჯის გადადგმას. სოფლის მასწავლებელთა ამ კავშირს ხალისით და სიამოვნებით მიეგება ყველა, ვისთვისაც ძვირფასია სახალხო სკოლის ბედი და ჩვენი მოზარდი თაობის სწავლა-აღზრდის საქმე.

ძალა კავშირსა და ერთობაშია. საქართველომ ღრმად განიცადა და განიგრძნო ეს და იგი შეუდრეკლად მიდის ამ გზაზე.

სომხური პრესა

გაზ. „ორიზონი“ № 293 სწერს: „გაზ. „საქართველო“-ს 171 და 172 №№-ში მოთავსებული იყო წერილი შემდეგი სათაურით: „სოხუმის მოღვაწენი“, წერილი ინტერეს მოკლებული არ არის „ორიზონის“ მკითხველთათვისაც, მით უმეტეს, რომ ის ეხება სოხუმის მცხოვრებ ოსმალ სომეხთა საკითხს, რომელიც ამ ბოლო ხანებში ადგილობრივ პრესის საკამათო საგნად გადაიქცა. გაზეთს როგორც ამ წერილში, ისე ცალკე მის მეთაურშიაც მკაცრი იერიში მიაქვს სოხუმის ქალაქის თვითმართველობაზე, განსაკუთრებით მის ქალაქის თავ ნ. თავდგირიძეზე, რომელნიც, ვითომ, ხელს უწყობენ საქართველოს დანაწილებას, მის ტერიტორიაზედ უცხო ტომთა რიცხვის გამრავლებას და ეთნოგრაფიულ ერთიანობის დარღვევას.

საქმე ისაა, რომ სოხუმის ქალაქის თვითმართველობამ, თავის ქალაქის და მისი მიდამოების ინტერესების დასაკმაყოფილებლად, შუამდგომლობა აღძრა უმაღლეს ადმინისტრაციის წინაშე, რომ ოსმალეთის ქვეშევრდომ სომხებს მამულის შეძენის უფლება მიეცეს. უფლებასაც ისინი მოკლებული არიან გალიცინის რეჟიმის შემდეგ. გაზეთი გაჯავრებულია, რომ სოხუმის მოღვაწეებმა ეს ნაბიჯი გადასდგეს სხვებისდა დაუკითხავად“.

გაზეთი „ორიზონი“ ამ შემთხვევაში მარტო ამ ფაქტის აღნიშვნით დაკმაყოფილდა.

დეპეშა

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

პეტროგრადი. რუსთველის სალამომ ბალმონტის მიერ გამართულმა დიდის ამბით ჩაიარა. ქართველთა საზოგადოება პოეტის პატივსაცემლად 14 იანვრისთვის მართავს ბანკეტს.

გ. ვეშაპელი.

ახალი ამბავი

საქართველოს ეგზარხოსი 27 დეკემბერს, თანახმად მიღებულ ცნობისა კიევში უწირავს 27 ამა ქრისტეშობისთვეს. კიევიდან პეტროგრადს გამგზავრებულა, სადაც მონაწილეობას მიიღებს არქ. პიროსის კურთხევაში ალავერდის ეპისკოპოსად.

◆ **მეფის ნაცვლის** კანცელარიის გამგეობა და ქართლ-კახეთის სასინოდო კანტორა საქართველოს ეგზარხოსის შესახვედრ ცერემონიალს ადგენს.

◆ **სასანიტარო და საევაკუაციო** უმაღლესი მთავარ უფროსის განკარგულებით დაჭრილ დაავადებულ ჯარისკაცნი კერძო საავადმყოფოებშიც უნდა იქმნენ გადაყვანილნი, ვინაიდან ამ საავადმყოფოებში მრავალი თავისუფალი ალაგი მოიპოვება.

◆ **ნესტორიანთა პატრიარქმა** მარში მუნმა დაათვალიერა ძველი ტაძარი იოანე ღვთის მეტყველისა, სადაც მრავალი აისორი ქალი და კაცი შეეგება. ტაძარში ეპისკოპოსს მარილიამ შესაფერი სიტყვით მიმართა.

◆ **მიწად მოქმედების დეპარტამენტმა** დაამტკიცა 1916 წლ. ხარჯთაღრიცხვა თბილისის ბოტანიკურ ბაღისა და მის განყოფილებათა 132.010 მანათისა, ქუთაისის საცდელ მინდვრისა 15250 მან. და ყარაიაზის საცდელ მინდვრისა 22370 მან.

◆ **სახალხო სახლში** დღეს, წარმოადგენენ ცნობილ პიესას, „გამცემს“.

◆ **„თემის“ რედაქტორმა** გრ. ნ. დიასამიძემ ქართ. კულტურის საზოგადოებას დარბაზობის ნაცვლად შესწირა 5 მანეთი. ფაქტი საგულისხმოა წაბაძვისა.

◆ **სასურსათო განყოფილებას** ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებისას დღემდე დაკვეთილი აქვს და მიღებას ელის 80 ვაგონი ფქვილი და 70 ვაგონი სიმინდი სულ 150 ვაგონი. ამ რიცხვში გამოწერილია გურჯაანის სოფლის საზოგადოებისთვის 30 ვაგონი სიმინდი და 40 ვაგონი ფქვილი, შორაპნის მაზრისათვის 40 ვაგონი სიმინდი და ნავთლუღისათვის და მის ახლო მახლო სოფლებისათვის 40 ვაგონი ფქვილი.

◆ **“ხარფუხის კლუბის“** შენობა უკვე აღებულია საომარ საჭიროებათათვის.

◆ **ქართულ კულტურის** მოყვარე საზოგადოება შეუდგა უკვე ტრადიციულ სალამოს მოწყობის საქმეს საარტისტო საზოგადოების დარბაზში. სალამოში მონაწილეობის მისაღებათ მოწვეულია თელავიდან ჩვენი ნიჭიერი კომპოზიტორი ნიკოლოზ პაატის ძე სულხანიშვილი.

◆ **ხმოსან** ს. მ. ნუნუფაროვის გარდაცვალებისა გამო დაინიშნა ხმოსნად მისი კანდიდატი ს. ი. ფორაქიშვილი.

◆ **თბილისში კახეთიდან** დაბრუნდა კავკასიის სამეურნეო ნაწილის უფროსი ბ-ნი ს. ნ. ტიმოფეევი.

◆ **სახალხო კითხვები სოფლად.** 4 იანვარს სოფ. მარტყოფში ადგილობრივ სკოლის დარბაზში, ილია ნაკაშიძე მართავს საბავშო დილას ბუნდოვანი სურათებით. დილის გამმართველი ბავშვებს უამბობს ცნობებს ქართველთა ზნე-ჩვეულების შესახებ. 9 იანვარს ბ-ნი ილია ნაკაშიძე გამართავს სახალხო დილას სოფ. დიღომში. წაიკითხავს ლექციას სათაურით „ურთიერთი დახმარება და კოოპერაცია“.

◆ **სომეხთა ცენტრალ კომიტეტმა** დაადგინა: 1) გადმოხვეწილთა ობლების თავშესაფარად იქირაოს ადამოვის სახლი ავლაბარში; 2) ყარსში მყოფ 3,000 გადმოხვეწილ სომეხს, რომელთაც მთავრობისაგან დახმარება არ ეძლევათ, გაეგზავნოს სამი ათასი მანეთი; 3) სომეხ მასწავლებელთა კომიტეტს გადაეცეს 500 მანეთი გადმოხვეწილ მასწავლებელთა სასარგებლოდ; 4) გადმოხვეწილთათვის დილიჟანში დაარსებულ სახელოსნოს გაეგზავნოს 1,500 მან.; 5) გადმოხვეწილთა შესახებ მზრუნველ კომიტეტს თბილისში მიეცეს 750 მან. დღესასწაულებზე გადმოხვეწილთათვის დახმარების აღმოსაჩენად; ამავე კომიტეტს მიეცეს 7,000 მან. მატყლის შესაძენად გადმოხვეწილთათვის ლეიბების შესაკერად; 6) თბილისში შემოხიზნულ ლტოლვილთ დახმარება ეძლიოთ 10 იანვრამდე, როცა გამოირკვევა თუ სად უნდა წავიდნენ ისინი.

◆ **სურსათი.** 24—27 ამა თვეს თბილისში შემოიტანეს რკინის გზით ფქვილი 27 ვაგ. ქერი 1 ვ., სიმინდი 1 ვ., ღვინო 11 ვ., ხორბალი 1 ვაგ., ხილი 5 ვ., კარტოფილი 1 ვ., შაქარი 31 ვაგ., ფხვნილი შაქარი 2 ვ., კომბოსტო 1 ვ., ქვა მარილი 2 ვ., ნახშირი 3 ვ., ასანთი 2 ვ., შეშა 50 ვაგ., ნავთი 4 ვ., მაზუთი 17 ვ., კარაქი 20 ფუთი.

◆ **[illegible] მუზეუმში.** 31 ქრისტეშო[illegible] ნუვეშის გამგენი აწყობენ ფრიად საინტერესო სალამო-მეჯლისს, სამუსიკო-ვოკალურ განყოფილებით. სალამოს დიასახლისებათ ქ.ქ. ნ. დ. მანსვეტაშვილისა და კნ. დ. დ. ჯავახიშვილისაა.

◆ **თბ. სამრევლო სკოლის** მოწაფეებს წმ. ვლადიმერის 900 წლის გარდაცვლის თავზე გაუმართეს სალიტერატურო სამუსიკო სალამო. ქართული სიმღერები მწყობრად შესრულებულ იქმნა სალამოზე ბ-ნ კ. ჩარკვიანის ლოტბარობით.

◆ **მოწყალების და,** მამაშვილი დაჯილდოვებულ იქმნა წმ. გიორგის მეოთხე ხარისხის მედლით.

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრთა ჩვეულებრივი კრება.

დღეს, სალამოს 8 საათზე, თავადაზნაურთა დეპუტატების საკრებულოში (ბელინსკის ქუჩა № 2) მოხდება საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრთა ჩვეულებრივი კრება.

საგანი კრებისა: 1) პეტროგრადის უნივერსიტ. პრივ.-დოც. ი. ა. ყიფშიძის მოხსენება—„ბგერათა ასიმილიაციისა (დამსგავსებისა) და დისიმილიაციის (განმსგავსების) კანონები ქართულსა და მეგრულში“, და 2) ი. ირ. აბულაძის მოხსენება—„ზოგიერთა მოსაზრებანი ვეფხის ტყაოსნის ჩანართებზე“.

კრებაზე გარეშეებსაც შეუძლიანთ დაესწრონ.

ბ-ნ აბულაძის მოხსენება ამოღებულია მის მიერ გამოცემულ წიგნაკიდან: „ჩანართი შესახები მოსაზრებანი და ვეფხის ტყაოსნის კრიტიკული ტექსტის ნიმუში“.

პირველი ნაბიჯი

თითქმის ყველა პროფესიის მუშებმა შეიგნეს საპროფესიო კავშირის მნიშვნელობა, ყველა დარგის მუშებმა შეიგნეს შეერთების, შეკავშირების ძალა... მხოლოდ სახალხო მასწავლებლებმა ვერ შესძლეს დღემდის შეერთება-შეკავშირება. სახალხო მასწავლებელთა შორის რომ კავშირი რამ არსებობდეს, მათ ხმას დიდს ყურადღებას მიაქცევდენ და ანგარიშს გაუწევდენ; ბ.ბ. გასპარიანცი და მისი მზგავსნი ჩვენი სკოლის „ბატონ-პატრონები“ ასე ადვილად ვერ გასთელავდნენ ფეხქვეშ 1881 წლის წესდებას, ასე ადვილად ველარ აიგდებდენ აბუჩად სამშობლო ენის სწავლებას ჩვენს სახალხო სკოლებში... ასე ადვილად ვერ შესძლებდნენ პოლიტიკანობას და სახალხო სკოლებში სხოლასტიკის გამეფებას... კავშირები რომ არსებობდეს, რომელი სულმდაბალი მასწავლებელი გაბედავს სამასწავლებლო მთავრობის გულის მოსაგებად ინსპექტორ-დირექტორებთან მელა-კუდაობას, მათ დამქაშობას... ვინ არ იცის, რომ ჩვენი სახალხო მასწავლებლების უმეტესობა გონებრივად ღატაკია, არ არის მომზადებული თავისი მძიმე მოვალეობის აღსრულებისათვის,

კრეზუსის ბლუ შვილები

მდიდარი და ყოველსფერით შემკული კრეზუსი მეფე ლიდიისა მით იყო უბედური, რომ უფროსი ვაჟიშვილი ბლუ ჰყავდა. ერთი ვერსიის სიტყვით ამ ბლუმ მხოლოდ ერთხელ ამოიღო ხმა თავის სიცოცხლეში და ესეც მაშინ, როდესაც მის ამეტყველებას გარემოება არ მოითხოვდა. ეს ასე მოხდა: მრავალ გამარჯვებით გათამამებულმა სპარსეთის მეფე კირუსმა საბერძნეთი ამოიღო ნიშანში და მის დასალებად გაემართა. გზად ლიდიის კარიც შეჰლეწა და ფუფუნებით გაზარმაცებულს კრეზუსს მეჯლისის დროს წააწყდა თავზე. კრეზუსი იძულებული გახდა ქალის ტანისამოსი გადაეცვა და გაქცეულიყო, მაგრამ სასახლის კარს არ გასცილებოდა, რომ მეფის სატრაპი შემოიჭრა და დაიძახა: „რაიქნა კრეზუსი?“ აი ამ დროს ბლუმ ხელები აფათურა და, რა მიუთითა გაქცეულ კრეზუსზე, ნაწყვეტ ლუღლუღით უპასუხა: „აგერა მირბის!“ კრეზუსი შეიპყრეს. შემდეგი ვიცით.

ჩვენს სამშობლოსაც ჰყავს თავისებური ბლუ შვილები და ეს ბლუნი გახლავან ჩვენებური სოციალისტ ფედერალისტები. დღიდან მათი პარტიის დაარსებისა საქართველოს არ ახსოვს მათი საღი ხმა, საღი შველა, საღი მიზანი, მოქმედება. ასეთი წყალ-წყალა, ასეთი უფიზიო პარტია ჩვენს ისტორიას არ უნახავს. მუდამ პირბადე აფარებულნი ამბობენ იმას, რასაც გულში ვერ გაივლებენ და დანაშაულებადა სთვლიან, გულში კი იმას არ გაიტარებენ, რასაც ენით ამოსთქვამენ და განგაშს სცემენ. ჩვენი ისტორიისთვის ისინი მხოლოდ enfants terribls-ად გარდაიქცნენ. ორ კერპის მსახურნი, ორ სახატეზე მლოცველნი, ვერც ერთს ემსახურებიან, ვერც ერთზედ ლოცულობენ ლოცვის წესით და კრეზუსის ბლუ შვილივით თუ ხმას ამოიღებენ ვითომც სამშობლოს საკეთილდღეოდ, უსათუოდ პასუხი ფრიად ორიგინალი იქნება, ისეთი, რომ განცვიფრებაში მოიყვანს ადამიანს.

საქმე მარტო მათი უნიათობა როდია, აქაო და ბედმა და გარემოებამ დროებითი ჰეგემონია ხელთ ჩაგვიგდოო, ყოველს თავის სიტყვას მთელი ერის უზენაეს ბრძანებადა სთვლიან. ისინი ებრძვიან ყოველ იმ მიმართულებას, რაც კი მათ წინ გადაეღობება, ებრძვიან ბრძოლის გულისთვის, ებრძვიან ბატონობის არ დასაკარგავად და არა იმიტომ, რომ გათვალისწინებული ჰქონდეთ, ვითომც „გამარჯვებით“ სამშობლოს რაიმე შვებას მოუტანდნენ. საკმარისია პოლიტიკურს ჰორიზონტზე იყნოსონ მოპირდაპირის გამოჩენა, რომ ისტერიული ყიჟინა დასცენ. ასე დაემართა ეროვნულ დემოკრატიულ ჯგუფსაც, რომელმაც აგერ ეს შვიდი თვის არსებობის კალო მოჰლეწა და რეალ საკითხებს რეალ გასავალს აძლევს. „საქართველო“, როგორც საპოლიტიკო ორგანო ამ ჯგუფისა, ნელ-ნელ ძალთა კრებაშია, პროცესი მისი გამოსვლისა სასურველ ტემპით მიდის. საქართველოს ბედის წერა, მისი ჭირ-ვარამი, გულახდილი გამოქომაგება სამშობლო ინტერესების დასაცველად, პირდაპირი ბრძოლა სამშობლოს ორგულთა და მტერთა წინააღმდეგ და შრომა, პრაქტიკული სარბიელის გაშლა ჩვენს მიწა-წყლის და ეროვნულ ნიადაგის განსამტკიცებლად,—აი დევიზი, რომელიც „საქართველოელთა“ ახალგაზრდა ჯგუფმა დააწერა თავის დროშაზე.

მერე როგორ შეხვდნენ ამ გამოსვლას ფედერალისტები? უეჭველია, გვეხსომება: საიერიშო მზადება, ვიდრე პირველი ნომერი გამოვიდოდა „საქართველოსი“, შემდეგ ერთგვარი ვაკხანალია „მღვრიე წყალი“... თევზის ჭერა“... და ბოლოს „უკანა კარის პოლიტიკა“... თავად-აზნაურთა ინტერესების დაცვა და სხვა და სხვა დემაგოგიური ქამანდები, რომ მოპირდაპირის სახელი გასტეხონ და დასცენ, გულუბრყვილო მკითხველის თვალში. არასოდეს დარბაისლური გამოხმაურება, არასოდეს დარბაისლური სჯაბაასი, არასოდეს საკითხის გულთან დაახლოვება, სინიდისის მხილების წინაშე წარდგომა და სასწორის ისე გადახვრა. არა, მათ მხოლოდ დემაგოგიას მიჰმართეს, ამ საშუალებით მოისურვეს „საქართველოს“ რეალი მიმართულების ჩაკვლა. ამ განზრახვის შესასრულებლად მათ აღმასრულებელი ორგანოც კი დაიარსეს: „ზვირთი“, მთელი რვა ნომერი მხოლოდ ჩვენი ლანძღვა-გინებაა, ლანძღვა-გინება უშვერი, დონკიხოტური: „გვებრძვიანო“,—იძახოდნენ „ვიცოდით სასტიკ ბრძოლას გამოგვიცხადებდნენ საქართველოელნიო“,—არწმუნებდნენ თავიანთ მკითხველს, მაშინ როდესაც „საქართველოელთ“ მათ მიერ დაყენებულ ესენციით გაჟღენთილ კორიანტელისათვის არ ეცალათ. მათ როდი შესწევდათ იმდენი მოქალაქეობრივი გამბედაობა, რომ პირბადე ჩამოეფარებლივ „სახალხო ფურცლიდან“ გამოქადამათიზოდნენ, არა, მათ პოლიტიკური მურის მოსმა ამჯობინეს და სალანძღველად „ზვირთში“ პირბადით გამოსვლა არჩიეს, ვიდრე ახდილი გამოკამათება ისეთ საკითხებზე, რომელნიც თვითეულ ქართველის საგონებელს შეადგენს, მის ზრუნვისა და ფიქრის საგანს.

„ზვირთის“ ფურცლებზე ამეტყველებულმა პირბადიან ღლონტ-ჯაჯანაშვილ-გედევანიშვილებმა დაადუმეს „სახალხო ფურც.“ უპირბადო ღლონტ-ჯაჯანაშვილ-გედევანიშვილები. მათ მხოლოდ ამ ბოლო დროს ამოიღეს ხმა, ისიც საპრესო განყოფილებაში, სადაც თვითეული სიტყვა მხოლოდ და მხოლოდ ერთი შხამიანი გველის სისინია, რომელიც მხოლოდ ერთი მძულვარების ფერადებითაა მოხატული. აქ ყველაფერია: დემაგოგობა... მოსყიდვა... უკანა კარის პოლიტიკა... უპროგრამობა... უნიათო კრიტიკა, დასასრულს, საპოთეოზო გამირჯვებულის ღიმილი.

ჩვენს დემაგოგობა—მოსყიდვაზე „საქართველოს“ არავითარი ვექილი არ ეჭირვება და სრულის დამშვიდებით მსჯავრის გამოტანას ანდობს პირუთვნელს ისტორიას, რომლის წინაშეც ვდგევართ ყველანი. ყოველ შემთხვევაში ასეთს ატესტაციას სახალხოელთაგან არ მოვითხოვთ. მაგრამ უარს არ ვიტყვით ვუპასუხოთ ისეთს კითხვებზე, რომელთაც აუცილობლივ საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვთ.

მათ უკვირთ და შეუწყნარებლად მიაჩნიათ ჩვენს მიერ მათი მოქმედების გაკრიტიკება და დიდად სწყინთ რატომ თეორეტიულს ნიადაგზე დღის არ ვეიმართავთ. ჩვენი „შვიდი თვის“ მუშაობა მხოლოდ უარყოფით კრიტიკად მიაჩნიათ, ვითომც ჩვენ დადებითი არა გვითქვია რა; პროგრამას გვთხოვენ და ვერ ჰხედავენ, რომ თვითეული ჩვენი წერილი იმავე დროს პროგრამის სანუკვარი მუხლები გახლავთ, რომელიც ჩვენ კი არ შევადგინეთ, არამედ ჩვენმა უზენაესმა მბრძანებელმა—**საქართველომ!** თუ რა პროგრამაა ეს პროგრამა, რა ჰქვიან მას, ეს შეუძლიან წაიკითხოს ყოველმა ჩვენგანმა, ვისაც ქართველობისა არა რცხვენიან, ვის გულშიც სამშობლოს სახელის მაჯის ცემა ჯერ არ შეწყდარა, ვისაც კიდევ სწამს ჩვენი მომავალი, იმედიანად შეჰყურებს ჩვენს აღდგენა-აღორძინებას და იმდენად არ დაბრმავებულა რომ ზედმეტი რკალების გახსნა მოისურვოს იმის გასაგებად, თუ სახელდობრ რა უნდა იყოს საქართველოს ბედნიერება, რა უნდა შეადგენდეს მის იდეალს, სულისკვეთებას! არა ჩვენ, არამედ თქვენ, ბატონო ფედერალისტებო, არა გაქვთ გარკვეული პროგრამა, არა ჩვენ, არამედ თქვენ დღემდისაც ვერ გამოგირკვევიათ რა გსურთ, რას ეტრფით, ვის ანუ რას ემსახურებით, თუმცა თქვენ მთელი ათეული წლებით ჩვენზე ხუცესნი ხართ და ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების სადავენიც ჩაიგდეთ ხელში. და თუ ეს ასე არ არის, გაგვაგებინეთ, სად და როდის, ან ვისი პირით გაარკვიეთ პროგრამა იგი? იქნებ ბ-ნ ლასხიშვილ-აბაშიძე-მაიაშვილთა პირით გამოირკვა პროგრამა იგი? მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ მათი პოლიტიკური მოღვაწეობა დღემდე მხოლოდ პოლემიკური წერილებით და ღლონტულ კრიტიკით არის შემოფარგლული! ან იქნებ პროგრამა ფედერალისტებისა გაარკვია თუნდა ისეთმა ნიჭიერმა პუბლიცისტმა, როგორიც არჩილ ჯორჯაძე იყო? მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ჩვენი პოლიტიკური სარბიელისთვის იგი მხოლოდ ცდომილი ვარსკვლავი იყო, რომელსაც ჯერ კიდევ ძიება ვერ დაემთავრებინა და არჩილ ჯორჯაძე ებრძოდა არჩილ ჯორჯაძესვე, მხოლოდ უკანასკნელს პერიოდში დაიწყო ცხრომა და იმ ნიადაგისკენ გადმოხრა, რაზედაც დღეს საქართველოელნი სდგანან! მაშ ვინღა დაგრჩათ? იქნება თევდორე ღლონტია ახალი წინასწარმეტყველი, ვინც მოგცემთ გარკვეულს პროგრამას? მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ღლონტის ნაწერებს მხოლოდ ღლონტი კითხულობს და ძნელად რომ თვით თქვენში, ლიდერთა შორის, მოიპოვებოდეს ისეთი, ვინც მის ჩაქჩაქა მეცნიერება-ფილოსოფიას ან კითხულობდეს, ან ისმენდეს ან და სადმე სათანადო ანგარიშს უწევდნენ.

სახალხოელებს თავი მოაქვთ ეროვნულ უბედურების ამბავმა ჩვენს ყურამდეც მოაღწიაო. მაგრამ ამ ამბავის გაგონებაზე რომ სამშობლოს კრეზუსის შვილის სამსახურს უწევენ, ეს როდი სჯერათ. კრეზუსის ბლუ შვილობა როდი ჰგონიათ, თუ დღეს, როდესაც კრეზუსის სატრაპები სამშობლოს თავის მოსაკვეთად შემოსეულან და ლამისაა ქალის ტანთსაცმელს მიჰმართოს გასაქცევად, ეგენი გადმომდგარან და იძახიან: ჰკათ, აგერ გარბის, ეს არისო! კრეზუსის ბლუ შვილობა როდი ჰგონიათ, თუ სამშობლოს ისტორიულ უფლებებს გამოსტაცებენ ხელიდან და როდაც უზე-

ორგანიზაციულად კარგად მოწყობილი კავშირების საშუალებით შესაძლებელი იქნება მასწავლებლების გონების განვითარებასაც ხელი შეეწყოს. თუ კავშირს მკვიდრი ნიადაგი ექნა, შესაძლებელი იქნება დაარსება საურთიერთშორისო დამხმარე კასისა, რომლის მიზანია დახმარება აღმოუჩინოს მასწავლებელს უბედურ შემთხვევის დროს. დიახ, დიადია მნიშვნელობა მასწავლებლების კავშირისა. ამის შესახებ ძალიან ბევრი დაწერილა ჩვენს პერიოდულ გამოცემებში, დიდი ხანია კავშირების დაარსების შესახებ ისმოდა ხმა გურიის მასწავლებლებისა, მაგრამ პრაქტიკული ნაბიჯი დღემდის არ გადადგმულა; დღეს კი ქუთაისში უნდა შესდგეს ქუთაისის გუბერნიის სახალხო მასწავლებლების კრება, რომელზედაც განხილულ უნდა იქნას მუხლობრივ კავშირის წესდება... თვითეული მასწავლებელი ვალდებულია დაესწროს ამ სიმპატიურ კრებას, გაიცნოს წესდება. პირველი ნაბიჯი გონივრულად და დაფიქრებულად უნდა იქნას გადადგმული, თითეული მუხლი წესდებისა ღირსეულად უნდა იქნას აწონილ-დაწონილი და დაფასებული... დღეს ფუძე უნდა დაედოს ამ კეთილ საქმეს, თითეული წევრი კრებისა უნდა ეცადოს, რომ ამ საქმეს ჩაეყაროს მტკიცე, მაგარი და შეურყეველი საძირკველი. სიამოვნებით ვეგებები კრებას, სულითა და გულით ვუსურვებ მასწავლებელთა კრებას ნაყოფიერ მუშაობას, კეთილს ნაბიჯს.

გრ. საქარიქედელი.

სატახტო პრესის ცხოვრებიდან

ერთმა სატახტო რუსულ გაზეთის რედაქციამ დააპირა თავის კორესპონდენტის გაგზავნა კავკასიაში.

მეორე დღეს რუსმა კორესპონდენტმა გაგზავნა სატახტო გაზეთში თავისი პირველი წერილი სათაურით: „სომხები“. მესამე დღეს—„სომხები და მათი მომავალი“. მეოთხე დღეს— „სომხები და სომხეთის ავტონომია“.

ერთი კვირის შემდეგ ამ ცნობილ კორესპონდენტს პეტროგრადიდან მოუვიდა შემდეგი დეპეშა:

„წავიკითხეთ შენი წერილები. ნურც იმ ქართულ მანეთებს დაივიწყებთ რომლის წყალობით, გაჭირვების დროს შენ რამდენჯერმე გისადილნია და კუჭი გაგიძღია.

უძღვენით რამოდენიმე წერილი ქართულ მანეთებსაც“.

დეპეშას ხელს აწერდნენ კორესპონდენტის ყოფილი მეგობრები—ორი ქართველი.

—

გაზ. „პეტროგრადის „კურიერმა“ განიზრახა „კავკასიის ალმანახის“ გამოცემა. ამისათვის თვალსაჩინო მასალებიც მოუმზადებია და პირველ გვერდზედ მიდიოდა დიდი წერილი „საქართველო და ქართველები“. ყველაფერი მზად იყო კიდეც მის გამოცემისათვის როცა უცბად რედაქციის ტელეფონთან გაზეთის რედაქტორი ვილაცამ დაიბარა. ტელეფონთან ცნობილი მილიონერი ლია—ზოვი იდგა, რომელიც ამ გაზეთს შველოდა...

დაუყოვნებლივ მოხსენით ალმანახის ფურცლებიდან ქართველობის ხსენება, თორემ გროშით არ დაგეხმარებით...

რედაქციამ არ ისურვა უამწერილოდ ალმანახის გამოცემა და ირჩია სრულებით არ გამოეცა იგი.

„კავკასიის ალმანახი“ დაიმარხა.

ეკალი.

თბილისის ,,პატარა“ ამბები

(საზ. „განათლების“-მიერ დაარსებულ ქალთა სახელოსნო სკოლის კურთხევა.—მცირეწლოვან მუსულმანთა თავშესაფარი.—სიონის და ანჩისხატის საკუთრებათა მითვისება.

გაკვრით.

მკითხველს მოეხსენება, რომ საზოგადოება „განათლებამ“ უკვე, რამდენიმე გზით, დაგვანახვა უნარი ნაყოფიერ საქმიანობისა, თვისი დიდი და მრავალფეროვან მისიის განსახორციელებლად. კიდევ ერთი თვალსაჩინო აქტი „განათლების“ სასიქადულო და წასაბაძ საქმიანობისა მოხდა გასულ კვირას, 27 ქრისტეშობისთვეს, როდესაც აღნიშნულმა საზოგადოებამ, განსვენებულ კიპრიზოვის-მიერ ხარფუხში ნაანდერძევ საკუთარ შენობაში აკურთხებინა, თვის ძირითად სკოლიდან ცალკე გამოყოფილი, ქალთა პროფესიალი სკოლა. სკოლის კურთხევაზე დასასწრებლად დაპატიჟებულნი იყვნენ ადგილობრივი საზოგადოებრივ-კულტურულ დაწესებულებათა წარმომადგენელნი, რომელთაც მრავლად მოეყარათ თავი. კურთხევის წინ პატივცემულმა დეკანოზმა მამა თალაქვაძემ, საგულისხმიერო სიტყვით მიმართა დამსწრეთ: აღნიშნა-რა სხვათა შორის, „განათლების“ საერთო სასიქადულო მოღვაწეობა, მნიშვნელობა ქალთა პროფესიალ სკოლისაც, მადლობით მოიხსენია სახელი უხვ-შემომწირველ კიპრიზოვისა და ამ საქმის მესვეურთაც უსურვა—პირ-ნათლად და ნაყოფიერად შეესრულებინოთ თვისი მიზანი.

მუსულმან წარმომადგენელთა შორის იყვნენ მათი საქველმოქმედო საზოგადოების თავმჯდომარე, პრინცესა კოჯარისა და მთავარ ახუნდის თანაშემწე, ახუნდ სუფხანტულოვი. უკანასკნელმა, თავის მოსალოცავ სიტყვაში, სთქვა, რომ ამიერ-კავკასიის მკვიდრნი და კულტუროსანი ქართველობა მომავალშიაც არ მოაკლებს თავის მზრუნველობა, ხელმძღვანელობას, მრავალ საუკუნეების განმავლობაში მეზობელმოძმე მუსულმანებსაო“.

განსვ. კიპრიზოვის მიერ ნაანდერძევი თვალსაჩინო შენობა—თვისი სიფართოვე-ღირებულობით — საერთოდ და კერძოდ, სახელოსნო სკოლისათვის გამოყოფილი ორი ფართო და მზიანი ოთახით,— მშვენიერ შთაბეჭდილებას სტოვებს მნახველზე.

სკოლაში ჯერ-ჯერობით ითვლება სამოცზე მეტი ხელმოკლე მშობელთა ქალიშვილები; მათ შორის 25 მაჰმადიანია (როგორც ხედავთ საგრძნობლად სასიამოვნო პროცენტი) ორი ბერძენი, ხუთიოდე სომეხი და დანარჩენი ქართველებია. პირველ ხანში ასწავლიან ჭრა-კერვას და ქსოვა-ქარგვას; ახლო მომავალში კიდევ აპირებენ შემოიღონ, აგრეთვე, ხალიჩების ქსოვაც და ფართოდ დააყენონ სახელოსნო კერძო პირთათვის ტანსაცმელის დასამზადებლად. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ აღნიშნულ საყურადღებო დღესასწაულს არ მოისურვეს დასწრებოდნენ ქალაქის მართველობის წარმომადგენელთაგანნი, რომელთა მოვალეობას უნდა შეადგენდეს, არამც თუ დახმარება გაუწიონ, არამედ თვითვე აარსებდნენ ასეთ სასარგებლო სკოლებს, ხელმოკლე მოქალაქეთა შვილებისათვის. მაგრამ, კარგად მოგეხსენებათ, თუ ამ მაძღარ სოლოლაკელთ რამდენად ეინტერესებათ ქალაქის ღარიბ უბანთა ყოფა-მდგომარეობა...

სკოლის კურთხევის შემდეგ მიგვიწვიეს გამოქცეულ, ობოლ და ღარიბ მუსულმანთა შვილების თავშესაფარის დასათვალიერებლად,რომელსაც მუს.საქველმოქმედო საზოგადოება ინახავს. ამ თავშესაფარში სამოცამდე ქალ-ვაჟია, რომელთაც ეტყობა არ აკლიათ ჯეროვანი მზრუნველი ხელი. შიგ სასიამოვნო სისუფთავეცაა დაცული, მაგრამ, სამწუხაროთ სამიოდე ოთახი ამ თავშესაფარისა მეტად მცირე ზომისაა და ეტყობა ბავშვები დიდ სივიწროვეს განიცდიან.

გზაზე გამოვლისას შევიარეთ და დავათვალიერეთ ჩვენი წარსულის დიდებული ნაშთი,—სიონის ტაძარი. დავათვალიერეთ აგრეთვე ის შენობებიც, რომელთა აღებასაც აპირებენ, მეტად შევიწროებულ ეკლესიის ეზოს გასაფართოებლად. აღსანიშნავია უპირველესად ის სამწუხარო მოვლენა, რომ დედა ქალაქის ცენტრში, ამ დიდი ისტორიულ ნეშტის ეზო ესრეთ უსუფთაოდ და მოუვლელად ინახება, ისიც ამ დღესასწაულებში. ეტყობა ეს ეზო, თავისთავად, „დახოდს“ არ იძლევა, თორემ დაუჯერებელია ესრეთი უყურადღებობა ვისგანაც ჯერარს... მკითხველს მოეხსენება, რომ სიონის ეზოს გასაფართოებლად, და ამ მიზნისთვის იქ ჩახირულ შენობის ასაღებად, ცალკე კომიტეტია შემდგარი, რომელიც, სხვათა შორის, სახსარსაც ეძებს ამ შენობების გამოსასყიდლად, მაშინ, როდესაც სიონი თვითვე გაუძღვებოდა მოსალოდნელ ხარჯს, უკეთუ ეს სამზრუნველო კომიტეტი მართლა იზრუნებდა როგორმე უკანვე დაებრუნებინა სიონისათვის ის ქონება, რაიც თუნდა მადა მოჭარბებულ მქონეთ უდიერად მიუთვისებიათ. აი, მაგალითად: სიონის სამხრეთ მხრიდან, ბ. აფრიკიანცს აუშენებია უზარ-მაზარი შენობა, რისთვისაც, არ ვიცით როგორ მოუხერხებია, რომ ჩამოუჭრია და მიუთვისებია სიონის ეზოს გვარიანი ნაჭერი მიწა. ამაში უბრალო მომაკვდავი მნახველიც კი აშკარად დარწმუნდება და არავითარ მიწის მზომელის და არქიტექტორის სპეციალისტობა არ არის საჭირო. ჩვენ ვფიქრობთ კომიტეტმა უნდა ყოველივე ღონე იღონოს, რომ ბ. აფრიკიანცმა, ან უკანვე დაუბრუნოს მითვისებული ადგილი და ამისთვის დიდი ნაწილი თვისი შენობისა აიღოს, და ან საგრძნობელი, არსებული, სასყიდელი გაიღოს სიონის სასარგებლოდ. ამ გარემოებას, ვიმეორებთ, ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს.

—

ჩვენ გვაკვირვებს და გვაშფოთებს, როცა გვესმის, რომ სადმე პროვინციაში საეკლესიო მამულებს ითვისებენ, მაშინ, როდესაც ერთი უდიერი მითვისება და ბევრად მეტ ღირებულობისა, ხდება ჩვენსავე თვალ წინ და ისეთ დიდ ცენტრში, როგორიც თბილისია, [illegible] რაშიაც ჩვენ აშკარად დავრწმუნდით სიონის და ანჩისხატის მიდამოთა დათვალიერებით. ანჩისხატის სობოროს და მის მიდამოების დათვალიერება ამ მხრივ უფრო მეტს სამწუხარო შთაბეჭდილებას ახდენს. თქვენ აშკარად ხედავთ, რომ, ეს მეშვიდე საუკუნის დიდებული ნეშტი, პირდაპირ ამოუხვრჩია კერძო პირთა გადაჭარბებულ მადას. როგორც აგვიხსნეს, ვიღაც მაღალაშვილებს დაუსაკუთრებიათ ეკლესიის ეზო და ორ კუთხივ წამოუდგავთ სახლი, რომლის კარ-ფანჯარაც მოურიდებლად თვით ეკლესიაში იყურებიან. როდესაც ამ ეკლესიის ერთ-ერთ მოძღვართაგანს აღუძრავს საჩივარი მაღალაშვილზე, სობოროს უფლებათა დარღვევისათვის, მ—შვილს გამოსავალი გზა უშოვნია და ეს შენობა, სულ იაფად, მიუსყიდია სინოდის კანტორისათვის, რომელსაც ჩაუსახლებია თვისი მოხელეები და მასიამოვნებელნი პირნი. თვით ეხლანდელი კრებულნი არიან ისრეთ მივარდნილად, კერძოდ მდგომ, ნესტიან შენობაში, სადაც უაღრესი გაჭირვება თუ აიძულებს კაცს იცხოვროს...

აქ არც დრო და არც ადგილი დაწვრილებით გაუზიაროთ მკითხველს, რაც ჩვენ გავიგეთ აღნიშნულ ეკლესიების უფლებების უდიერად დარღვევის შესახებ, ვიტყვით მხოლოდ, რომ ეხლანდელ მოძღვარს ანჩისხ. ეკლესიისას, პატივცემულ დეკანოზს თალაქვაძეს, დოკუმენტებით ხელში, რამდენჯერმე აღუძრავს, საჩივარი სადაც ჯერ არს, ამ დიდი ისტორიულ ნაშთისადმი ესრედ უდიერად მოპყრობისათვის, რაშიაც, რაღა თქმა უნდა, შინაურ მტრებსაც თავიანთი „ღვაწლი“ უნდა მიუძღვოდეთ, მაგრამ, ჯერ აქნობამდის, მამა თალაქვაძის თავ-გამოდებულ მეცადინეობას სასურველი ნაყოფი ვერ გამოუღია და ესე იქმნება, ვფიქრობთ, მანამდის, სანამ თვით აღნიშნულ სობოროს მრევლიც ზურგს არ გაუმაგრებს თვის მოძღვარს და დაჟინებით არ მოითხოვს ამ ეკლესიის უფლებათა აღდგენას...

გ. ა—ციხელი.

ქალაქის საბჭო

28 ქრისტეშობისთვე.

კრება გაიხსნა ა. ი. ხატისოვის თავმჯდომარეობით საღამოს 8 ნახ. საათზე.

თავმჯდომარე: წილად მხვდა გაუწყოთ სამწუხარო ამბავი: გარდაიცვალა ჩვენი საუკეთესო ამხანაგი ხმ. ს. დოლუხანოვი, რომელიც ჩვენთან ერთად ეწეოდა უღელს ქალაქის მართვა-გამგეობის საქმეებში და რომლის მუშაობამ დიდი ნაყოფი მოუტანა ჩვენს ქალაქს. გთხოვთ ფეხზე ადგომით პატივი სცეთ განსვენებულის სახელს.

წინადადება შესრულებულ იქმნა.

თავმჯდომარე: ხმ. ყორღანოვი მსახურებდა ბელგიის უსახელო საზოგადოებასთან ტრამვაიის საქმეში. ეხლა რადგან ტრამვაი ქალაქის ხელში გადმოვიდა და ტრამვაიზე მოსამსახურენი ქალაქის სამსახურში ირიცხებიან, ბ-ნმა ყორღანოვმა საჭიროდ სცნა ხმოსნობას თავი დაანებოს და ამის შესახებ განცხადებაც შემოიტანა. ამ რიგად ორი ხმოსნის ადგილი დაიცალა—გარდაცვლილ დოლუხანოვისა და ბ-ნ ყორღანოვისა. მათ ადგილზე მოწვეული იქნებიან ხმოსნებად ს. ი. ფორაქაშვილი და გ. პ. მელიქ-კარაკოზოვი, რომელნიც ხმოსნის კანდიდატებად ითვლებოდნენ.

შეკითხვები:

ხმ. ბაზოვი. მაშ მართალი გამოდგა გავრცელებული ხმები, რომ ბ-ნი ყორღანოვი ერთსა და იმავე დროს უსახელო საზოგადოებასთანაც მსახურებდა და როგორც საბჭოს ხმოსანი იურიდიულ კომისიის წევრადაც იყო და იმავე ტრამვაის გამოსყიდვის შესახებ საკითხების გადაწყვეტაში მონაწილეობას ღებულობდა?

თავმჯდომარე. როგორც მოგახსენეთ, უსახელო საზოგადოებასთან მსახურებდა იგი და საბჭოს იურიდიულ კომისიაშიც ითვლებოდა წევრად, მაგრამ ტრამვაის შესახებ საკითხის განხილვაში არასოდეს არ მიუღია მონაწილეობა. ტრამვაის საქმეში სამსახური-კი ხმოსნობის უფლებას არ ართმევდა მას. ეხლა კი, როცა ის ქალაქის სამსახურში ითვლება, ხმოსნობასაც თავს ანებებს.

ხმ. ბაზოვი. რა თანამდებობა ეჭირა ყორღანოვს ტრამვაიში?

თავმჯდომარე. ის იყო თანაშემწე ტრამვაის იურისკონსულტისა; ხოლო როცა ბ-ნი ტახტაჯიანი ავად გახდა, იგი დროებით ტრამვაის დირექტორის თანამდებობას ასრულებდა და ქალაქის გამგეობას ის აბარებდა ტრამვაის ქონებას. ამჟამად ბ-ნი ტახტაჯიანი კარგად არის, იგი უკვე დაუბრუნდა დირექტორის თანამდებობას და ბ-ნი ყორღანოვი წინანდელ თავის თანამდებობას ასრულებს.

ხმ. ბაზოვი. თქვენ წინედ განაცხადეთ, რომ ტრამვაის მოსამსახურენი სამი თვის ჯამაგირს ღებულობენ უსახელო საზოგადოებიდან, რადგან ტრამვაი ქალაქის ხელში გადმოვიდაო. მიიღეს ეს ფულები მოსამსახურეებმა, თუ არა?

თავმჯდომარე. ხვალ გუბერნატორის განცხადება იქნება გაკრული, რომ ფულებს უთუოდ მიიღებენ მოსამსახურენი 7—8 იანვარს. დაწვრილებითი ცნობებს ტრამვაის შესახებ 4 იანვარს მოვახსენებ საბჭოს.

(დასასრული იქნება)

წერილები თელავიდან

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

2

ამ ბოლო ხანებში თელავის საზოგადოებრივ ცხოვრების მაჯის ცემა ჩვეულებრივზედ ინტენსიურია. წინანდელ პროვინციულ კარჩაკეტილობას, საზოგადოებრივ დაქსაქსულობას და ინდეფერენტიზმს დღეს ადგილი აღარა აქვს. თითქოს რკინის გზის გაყვანით რაღაც ახალმა სალმა სიომ დაჰბერა თელავს. გამოაფხიზლა და მოქმედების სურვილიც დაუბადა. ეხლა თელაველ ქართველში თანდათან ღვივდება დიდი ხნის მიფერფლილი ეროვნული შეგნება, რომელიც ინსტიქტიურად მას მოქმედებისკენ იწვევს.

ეკონომიურად დაბეჩავებული აქაური მკვიდრი დღეს სცდილობს წელში გასწორდეს, საკუთარი ინიციატივა გამოიჩინოს... ამას საუკეთესოდ ადასტურებს ადგილობრივი „წვრილი კრედიტი-“ს სამაგალითო გარჯა-მუშაობა.

აქა-იქ ისახება პატარ-პატარა წრეები ეროვნულ თვითშეგნების გასაღვიძებლად და სულიერ გადაგვარებასთან საბრძოლველად. ერთი სიტყვით მეტად სასიხარულო და იმედის მომგვრელი სიმპტომები მოსჩანს. უხსოვარ დროიდან ღვთის ანაბრად მიტოვებული ძველი თელავიც დიდის მოუთმენლობით მოელის, როდესაც ეს გამოფხიზლება გარკვეულ რეალ სახეს მიიღებს და ადგილობრივი ქართველი საზოგადოება მას ღირსეულ და შეგნებულ პატრონად მოევლინება.

⁂

სამუშაო ასპარეზი კი თელავში მეტად დიდია. ჯერ უპირველესად ყოვლისა თელავს ჰმართებს ეკონომიურად ძლიერი დარაზმვა. მართალია, აქ არსებობს და როგორც უკვე ვსთქვით ნაყოფიერადაც მუშაობს „საკრედიტო ამხანაგობა“, მაგრამ ეს არ კმარა დღევანდელ ეკონომიურ ბატონყმობიდან თავის დასახწევად. ამის გარდა აუცილებლივ საჭიროა განხორციელდეს ფართე კოოპერატიულ მაღაზიის დაარსების აზრი, რომელიც ამ ოთხი - ხუთის წლის წინად საზოგადოებაში ტრიალებდა, და რაღაც მიზეზით ვერ განხორციელდა. საჭიროა ამ საქმეს კვლავ დაუბრუნდენ მომქმედი და პრაქტიკი პირები. ამ გზით შეიძლება ჩვენი ეკონომიური მოღონიერება, რომელნიც მართლაც მჭიდროდ არის დაკავშირებული ჩვენი საქალაქო საქმიანობაც, საიდგანაც დღეს, ჩვენდა სამარცხვინოთ, უკანონო შვილებივით მთლად განდევნილი ვართ. მხნე და მუყაითი საქმიანობა გვმართებს.

Géorgien.

ყრილობა

სრულიად დასავლეთ საქართველოს სახალხო მასწავლებელთა.

27 ქრისტეშობისთვე.

27 ქრისტეშობისთვეს ქუთაისის სახაზინო გიმნაზიის დარბაზში პირველად მოხდა დასავლეთ საქართველოს სახალხო მასწავლებლების ყრილობა, მასწავლებელთა კავშირის დასაარსებლად.

ეს დღე ბედნიერია იმით, რომ ამ დღეს პირველად ვხედავთ ერთსულოვნებით შეკრებილს დასავლეთ საქართველოს ყველა სახალხო მასწავლებელს. სახალხო მასწავლებლები ერთდებიან და უკავშირდებიან ერთმანეთს, მიუხედავათ მათი მიმართულებისა. დღეიდან ვერ დაიწყებენ თარეშს ჩვენს მივიწყებულ სკოლებში გადაგვარების მოტრფიალე პედაგოგები.

იწყება ახალი ხანა სახალხო მასწავლებლებისთვის და პირველ დღედ განახლებისა და აღორძინებისა უნდა ჩაითვალოს 27 ქრისტეშობისთვე.

კრება გახსნა კავშირის დამფუძნებელმა ან. ოდიშარიამ დღის 2 საათზე. სულ დაესწრო 200 მასწავლებელი და სხვა და სხვა დაწესებულების წარმომადგენელნი.

კრებას ბ. ოდიშერიამ მოკლედ გააცნო კავშირის წესდების უმთავრესი მუხლები და მადლობა უძღვნა იმ პირთ რომლებმაც დახმარება აღმოუჩინეს წესდების დამტკიცებაში.

შემდეგ მასწავლებლებს მხურვალე სიტყვით მიესალმა ქალაქის მოურავე

ნაეს, მითიურ კაცთმოყვარების ნიშნად მოჰყვებიან იმის მტკიცებას, რომ რეალი ციფრები მცხოვრებთა სამართლიანობის სასწორს მოსულთა მხარეზე ჰხრის, ე. ი. „მეზობლების“ მხარეზეო. კრეზუსიის ბლუ შვილობა როდი ჰგონიათ, თუ სამშობლოს ზრდის გასაქანს სარბიელს მოუსპობენ, მაზრას მაზრაზე ჩამოსჭრიან და ამ საშინელს განადგურების პროცესის დროს მონური რევერანსებით ზურგს გაუმაგრებენ ლავასავით გადმოხეთქილს მეტოქეთა ტალღას!

თუ სახალხოელთ არ მოსწონთ ჩვენი კრიტიკა-მოქმედება, თუ მართლა მათ ჩვენი ქვეყნის დარაჯად მოაქვთ თავი, მაშ გვიპასუხონ, რა ჰქვიან მათს პრაქტიკულს ნაბიჯს ამ ეროვნულ უბედურების თავიდან ასაცილებლად? რით და როგორ უპასუხეს საქართველოს წინაშე წამოყენებულს სიკვდილ-სიცოცხლის საკითხებსა? რას ნიშნავს ასეთი რევერანსები? ნიშანია თავის მოტყუებისა, გულუბრყვილობის თუ უმეცრების? ან რას მივაწეროთ ასეთი სრულიად უადგილო, თუ გნებავთ, უმიზნო და ფრიად უაზრო ჩვენი ისტორიული უფლებების გაუქმება იმ დროს, როდესაც უუფლებონი სცდილობენ უფლებები ჩაიგდონ ხელში და საჭირო დოკუმენტებით წარსდგენ ყოველ მოსალოდნელ სამსჯავროს წინ!

ესმით თუ ისტორიულ უფლებათა უარისყოფით როგორ უარჰყოფენ თვით ჩვენი ერის არსებობასა? ისმით თუ ასეთი უგუნური ნაბიჯით რა ხიდათ განუმზადებენ ჩვენს მომავალს?

ან და შეიძლება ისიც არ უწყოდნენ, თუ ჩვენს სისხლსა და ხორცს დასავლეთ ქართველთ როგორ უფლებას არ აძლევენ კოლონიებად დასახლდნენ აქვე, ჩვენს წინ, ვთქვათ, ქიზიყის მიდამოებში, მაშინ როდესაც სამხრელთა ტალღას თავისუფალს სარბიელს აძლევენ შიგ შუა გულში შემოგვეჭრან? თუ ეს ასეა დღეს, მაშ რა იქნება ხვალ, როდესაც უკანასკნელ უფლებებზე ავიღებთ ხელსა? არა, ფედერალისტები ამ გარემოებათ ყურს არ უგდებენ, სჭრიან და ჰკერავენ ისე, როგორც სახელდახელოდ მოუვათ აზრად. ერთგვარი პოლიტიკური ასკეზიით შეპყრობილნი ნამდვილ ბალღებად გარდაიქმნენ, რომელთაც თავზე ხელის დასმა და ტაშის დაკვრა ახარებთ და რამდენადაც მეტს ბარაქალას ეტყვიან საკუთარ დოვლათის განიავებაზე და სხვის გაბედნიერებაზე, იმდენად უფრო აღტაცებაში მოდიან, მითი სინამდვილედ იქცევა, რა არის ოდით აღთქმული ქვეყნის —სოციალიზმის კარებს ვაღებთო!

პოლიტიკურმა ასკეზიამ სრულიად ჩაუხშო ნებისყოფა ჩვენს ფედერალისტებს. იგინი თვალით უმზერენ მარცხს, შფოთდებიან და ეს კიდევ ზედმეტს საშუალებას აძლევთ სოფიზმისა და გაუგებრობის ბურუსში გაეხვიონ. და ეს მით უფრო სამწუხარო, რომ ყველა ეს ხდება დღეს, როდესაც კაცობრიობა ათას კატასტროფის მოლოდინშია, როდესაც საზოგადო პოლიტიკურ ბედშავობის ქარცეცხლმა ქართველ ერში გააღვიძა თვის უფლებათა და საკუთარს ძალის შეგნება-შემეცნება და ნელ-ნელ მზადებას შეუდგა თვისი პატივისა, სახელისა და მამა-პაპათა იდეალების განსახორციელებლად. მოუფიქრებლად გამოწერილი მათი სოციალ-პოლიტიკური რეცეპტები შხამიან ნესტარად გარდაექცა ჩვენს სამშობლოს, რომელიც ძველის ძველ იარას ჰხსნის პირსა, საზოგადოებრივ გაერთიანება-შემეცნების ჩასახშობად და ერთურთში გაუგებრობისა და მტრობა შურის დასათესად.

მიუხედავათ ამისა, მაინც იმდენად დაცემულად არ მიგვაჩნია ფედერალისტები, რომ ცილი დავწამოთ და ვუსაყვედუროთ სრული ინდიფერენტიზმი სამშობლოს კეთილდღეობის საძიებლად. არა, მაგრამ ტრაგიზმიც სწორედ აი ამ სავალალო მოვლენაში გამოიხატება, უყვართ სამშობლო, დიახაც, სურთ მისი მთლიანობის შენარჩუნება, მაგრამ რა ვუყოთ თუ მათი ყოველი მოქმედება მათს ფიქრსა და ზრახვას ეწინააღმდეგება? აი, ეს არის სავალალო და არა ის, თუ მათ სამშობლოს კეთილდღეობის იქით სხვა რაიმე იდეალები ექნებათ გადაშლილი, თუნდა ცის ტახტრევანის ჩამოტანა და ყველა არსის უმანკო სულად გარდაქმნა, თეთრ ვარდებად აყვავილება!

„მტერმან ლოდი მომახვედრა,
მოყვარემან ვარდის კონა,
ეგრე მტერმან ვერ მატკინა,
მეგობარმან დამაღონა“-ო

ამბობს ჩვენებური ხალხური თქმულება.

თქვენ, ბ-ნო ფედერალისტებო, დასცხერით, ხელს მაინც ნუ გვიშლით თუ მოქმედება არ შეგიძლიათ! თქვენი ვარდის კონის გამოსროლა გვწყინს, გაცილებით ტკივილს გვაყენებს, ვიდრე თქვენს „მეზობელთა“ ქვა და გუნდა. მოგიწოდებთ სრულს დუმილისაკენ, ნუ ამწვავებთ ურთიერთ შორის დამოკიდებულებას. საზოგადო თანხმობა საქართველოსთვის ასე არასოდეს ყოფილა საჭირო, როგორც დღეს, როდესაც საზოგადოებრივი მდგომარეობა შავბნელ კატაკლიზმის სანახაობას დაემზგავსა. ასეთს შემთხვევაში არც ჩხუბობენ, არც ბუნდოვან თეორიებით ირთობენ თავსა, არამედ ყველანი საქმიანობენ, ერთის მიზნით იმსჭვალებიან, რომ ნანგრევებიდან მკვნესარე დაჭრილნი, უბედური მსხვერპლნი კატაკლიზმისა, რაც შეიძლება ბლომად გადაარჩინონ და სწრაფი შველა აღმოუჩინონ. ვიდრე ამას არ შეიგნებთ, ვიდრე პოლიტიკურ ასკეზიიდან არ განთავისუფლდებით, ვიდრე განაგრძობთ ყალბ ნიადაგზე დგომას, გწამდეთ, რომ ყოველი თქვენი სიტყვა და მოქმედება, თქვენი ლექსიკონითვე რომ ვსთქვათ, მართლა „ისტერიულ ყიჟინად“ დარჩება, ვინაიდან ჩვენი ისტორიისათვის, ანუ საქართველოს წინსვლა განვითარებისთვის თქვენებურს ქცევა-საქმიანობას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ დარჩება კი, როგორც კრეზუსის ბლუ შვილთა უგნურ მახილის ისტორიული დოკუმენტი.

გეშინოდეთ ისტორიის მართლ-მსაჯულების.

დ. კასრაძე.

ი. მ. ჩიქოვანი და უსურვა მათ ნაყოფიერი მუშაობა სახალხო განათლების სარბიელზე.

ი. გაბილაიამ „კოოპერაციის“ სახელით მიულოცა მასწავლებელთა კავშირს საძირკველის ჩაყრა.

ეპარქიალური ქალთა სასწავლებლის ინსპექტორი ჯაფარიძეც ულოცავს კრებას და უსურვებს ნაყოფიერ მუშაობას.

ჩვენი გაზეთის „საქართველოს“, „სამშობლოს“ და მათ გარშემო მომქმედ მიმართულების სახელით მხურვალე სალამი მიუძღვნა სახალხო მასწავლებელთა ყრილობას ნაფ. ვექილის თანაშემწემ ალ. ასათიანმა და უსურვა სახალხო განათლების მსახურთ თავგანწირულ მუშაობის გაცხოველება საქართველოს მომავალი დიდების შესაქმნელად.

შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა თვით სახალხო მასწავლებელმა ნიკ. ქამუშაძემ.

არჩევნები 28 ქრისტეშობისთვისათვის გადაიდო.

კრება დაიხურა ნაშუადღევის 3 საათზე.

28 ქრისტეშობისთვე.

სანამ კრება გაიხსნებოდა მასწავლებლებმა წარადგინეს საწევრო გადასახადი სამ-სამი მანეთი. სულ ჩაეწერა 150-მდე სახალხო მასწავლებელი და რამდენიმე ძველი მასწავლებლებიც.

კრების თავმჯდომარის არჩევამდის დილის 11 საათზე კრება გახსნა ან. ოდიშარიამ და წინადადება მისცა მასწავლებლებს რომ კრებისათვის თავმჯდომარე და მდივანი აერჩიათ. ერთხმათ არჩეულ იქმნა თავმჯდომარე ი. ნაცვლიშვილი და მდივნათ პარმენ ჭანიშვილი, რის შემდეგაც დაწვრილებით წაკითხულ და გარჩეული იქმნა კავშირის წესდება.

წესდების ზოგ მუხლს კრებამ დიდი დრო მოანდომა მაგრამ წესდებაში ცვლილება არაფერი შეუტანიათ.

აღიძრა საკითხი აგრეთვე ფილიალურ განყოფილებების დაარსების შესახებ პროვინციებში, რაც კრებამ სასურველად სცნო.

შემდეგ კრება შეუდგა განხილვას საკუთარ ორგანოსა და წიგნების გამოცემის საკითხს. ამის შესახებ დალაგებით ილაპარაკეს: ნ. ქამუშაძემ და მიხ. ბოჭორიშვილმა, რომლებიც ამტკიცებდენ საკუთარ ჟურნალის დაარსების აუცილებელ საჭიროებას და წიგნების საგამომცემლო სექციის არჩევას. კრებამ ეს წინადადება ერთხმათ მიიღო.

ბოლოს კავშირის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩიეს მასწავლებელი მირიანე ბასილაია.

გამგეობის წევრების, საგამომცემლო სექციის და სარედაქციო კოლეგიის წევრების არჩევა მოხდება 29 ქრისტეშობისთვეს.

კრება დაიხურა საღამოს 6 საათზე.

(დასასრული იქნება)

აჭარა

17 ქრისტეშობისთვეს ქ. ბათუმიდან სოფ. ხულოს ამოვიდა უმაღლეს მთავრობისაგან დანიშნული გენერალი ნიროდი, რომელსაც აქვს მინდობილი აჭარლების საქმის გამოძიება.

ეს ამბავი ხალხმა წინა დღით იცოდა და საზოგადოებიდან ამორჩეულმა რამოდენიმე მოწინავე პირმა დილიდანვე თავი მოიყარეს ადგილობრივ სამმართველოში, და უცდიდა მის მოსვლას.

გენერალი ნიროდი საღამოს 4 საათზე მოვიდა. მან ამ ხალხიდან ამორჩეულ პირებს განსაკუთრებით დჰაკითხა სათითაოდ, თუ როგორ მოხდა აჭარაში „ჩეტნიკების“ შემოსევა და როგორ შეხვდნენ აჭარლები ამ ამბავს. ამორჩეულებმა უპასუხეს: ჩვენ უსწავლელი და გამოუცდელი ხალხი ვართ, ხელმძღვანელი და ჩვენი გზის მაჩვენებელი ადგილობრივი მთავრობა იყო. იმ დროს კი, როდესაც ჩვენს მხარეს საფრთხე მოელოდა, ჩვენ ყველამ დაგვივიწყა, ჩვენთვის არც მთავრობას და არც არავის არ აუხსნია საქმე რაში იყო, ჩვენ ყველამ მიგვატოვა და დავრჩით უპატრონოთ. ამის შემდეგ ზედა აჭარას შემოესივნენ „ჩეტნიკები“, რომლებმაც გაძარცვეს აქაური დაწესებულებები და სავაჭროები, მოგვაყენეს გაჭივრება მცხოვრებლებს ყოველის მხრით. ჩვენ კი, ყოვლად უმფარველოთ დარჩენილებს, ძალა არ შეგვწევდა მათთვის წინააღმდეგობა გაგვეწია. რამოდენიმე დღის შემდეგ „ჩეტნიკებმა“ დასტოვეს აქაურობა და აქედან წავიდნენ. იმათი წასვლა ჩვენ შევატყობინეთ ჯარის უფროსს, რომელიც თავის ჯარით იდგა სოფ. დანისპარეულში ვაუწყებდით, რომ საშიში არაფერი არის და ვთხოვდით ჩამოსულიყო. ისინიც დაბრუნდნენ და შეუდგნენ საქმის მოგვარებას.

დიდი შვება მოგვანიჭა ჯარების დაბრუნებამ და „ჩეტნიკების“ აქედან წასვლამ.

ყველა ამის შემდეგ ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ აწი მაინც პატრონი გვეყოლებოდა და აღარაფერი გაგვიჭირდებოდა. მაგრამ ჩვენ გაგვიჩნდენ აქაური ვაჭრები ბერძნები და სომხები მტრათ. იმ ზარალის ასანაზღაურებლად, რომელიც მათ „ჩეტნიკებმა“ მიაყენეს, ამათ ჩვენგან მოინდომეს აღება, რისთვისაც დაგვიწყეს მუქარა. თუ არ გადაგვიხდით ჩვენს ზარალს, იმ შემთხვევაში მთავრობასთან დავაბეზღებთ და თქვენს თავს დავაჭერინებთო.

ასეთმა მუქარამ ბევრი ჩვენთაგანი შეაშინა და ვისაც ცოტა შეძლება ჰქონდა, თავი იხსნეს განსაცდელიდან და ვინც კი ღარიბი იყო, ისინი შეიქმნენ მსხვერპლი ვაჭრების დაბეზღებისა. ეხლა ჩვენი უკანასკნელი თხოვნა ის არის, რომ ჩვენ ყველანი, როგორც უდანაშაულონი ვართ ყველა იმ საქმეებში რაც მოხდა აქ, გაანთავისუფლოთ და დაუბრუნოთ თავის ცოლშვილს და ოჯახებს ის პირები, რომელნიც დღეს სატუსაღოში იმყოფებიან. ჩვენ კი მზად ვართ ვემსახუროთ მთამრობას სულით და გულით ისე, როგორც ეს ჩვენ მოგვეთხოვებაო.

ამის შემდეგ გენერალმა მათ აღუთქვა დახმარება ყოველ საქმეში და საღამოს 5 საათზედ გაემგზავრა ბათუმში.

ვ. კაჭახიძე.

პროვინციის ქრონიკა

ქუთაისი.

26 ქრისტეშობისთვეს ქ. ქუთაისში გაიმართა მეტად საყურადღებო სახალხო სკოლების მასწავლებელთა თათბირი. დაწვრილებით შემდეგ.

ხამტრედია.

სანოვაგე დღე და დღე მატულობს ფას. 27 ქრისტეშობისთვეს შაქარი სრულებით არ იშოვებოდა. ამ უქმეებზე მაინც ცეცხლი მოუკიდეს ვაჭრებმა ყველაფრის ფასს.

სოხუმი.

პურის მცხობლები თითქმის ყოველ დღე იფიცებიან და არსებულ ნიხრის მომატებას ითხოვენ. ქალაქის გამგეობა მეპურეთა მოთხოვნილებას ჯერჯერობით უკანონოდ სთვლის.

ამინდი სოხუმში კარგია.

ძ. ყვირილა.

აქეთ მშვენიერი ამინდია. ყინვები სრულებით არ არის. სანოვაგე მეტად გაძვირდა. ქაღალდის დასახურდავებელი მარკები ხშირად უხერხულობას იწვევს ხალხში, რადგან სოფლელნი მათ ეჭვის თვალით უყურებენ.

ბაქო.

1916 წ. იანვარში ქ. ბაქოში გაიმართება ჩვეულებრივი ქართული საღამო.

განჯა.

ერთ ვაჭარს 300 ფუთი ნამალევი შაქარი აღმოუჩინეს. ვაჭარს პასუხის გებაში აძლევენ.

ერევანი.

სომეხ გამოქცეულებს საშობაოდ სომეხთა დამხმარე კომიტეტმა საჩუქრები დაურიგა.

მუშათა შორის

ფოთი.

ეს ერთი ხანია გაფიცულნი არიან ქალაქის აფთიაქის მოსამსახურენი, როგორც უკვე ვიცით აფთიაქების მოსამსახურეთა მოთხოვნილებანი თითქმის ყველგან სამართლიანად იქმნა ცნობილი და დააკმაყოფილეს. მხოლოდ ფოთის ქალაქის მამები განაგრძობენ ჯიუტობას, და მოსამსახურეთ ყურადღებას არ აქცევენ.

— იაკუბოვიჩის აფთიაქში მუშებს და აფთიაქის პატრონს შორის ჯერ კიდევ ვერ მოხდა სრული შეთანხმება, ამ ჟამად მოთხოვნილებანი წარუდგენიათ მუშა ფარმაცევტებს, მაგრამ იაკუბოვიჩს მათთვის ხეირიანი პასუხიც არ მიუცია.

სხვა და სხვა ამბები

პოლონელთა შორის.

თათბირი სოფლის მეურნეობის შესახებ.

ქ. პეტროკოვში სამხედრო პირთა ინიციატივით მოწვეული იყო თათბირი, პოლონეთის სოფლის მეურნეობის გასაუმჯობესებლად. მთავრობამ თავს იდვა მცხოვრებლებისათვის წვრილფეხა საქონლის და ღორების შოვნა.

ახალი საავადმყოფოები.

„მცხოვრებთა კომიტეტის“ შუამდგომლობით ვარშავის მაგისტრატმა ვარშავაში გახსნა ოთხი ახალი საავადმყოფო. ამ ჟამად 26 საავადმყოფოა.

ფურნეების დაკეტვა.

ვარშავის გენერალ-გუბერნატორმა ვარშავაში 23 ფურნე დაკეტა პურის ძვირად გაყიდვისათვის.

გერმანელთა პრესა პოლონეთის საკითხის შესახებ.

„Berliner tageblaty“ იუწყება: იულიუს ბოჰემმა ბროშიურა უძღვნა პოლონეთის საკითხს. იულიუს ბოჰემი სხვათა შორის ამბობს: ბოლოს და ბოლოს პოლონელნი უნდა დარწმუნდნენ, რომ მათი ბედ-იღბლის გადაწყვეტა დამოკიდებულია ცენტრალ სახელმწიფოებზე და უნდა დაესწრაფნონ რეალ მოსაზრებათ და არა ფანტასტიურსაო.

უმაღლეს სასწავლებლებში.

ვარშავის უნივერსიტეტში ყოფილა 1,013 მთხოვნელი. ამათგან მიუღიათ მხოლოდ 687. სამედიცინო ფაკულტეტზე 360, ფიზიკო-მათემატიკურზე 120 იურიდიულზე 110 და ფილოსოფიურზე 50.

პოლიტეხნიკუმში მიუღიათ 613 კაცი, ამათგან 30 აგრონომიულზე, 56 საარქიტექტორო ნაწილზე 116 საამშენებლოზე, 138 ქიმიკურზე, 215 მანქანების მშენებელთა ნაწილზე და 58 ელექტრო-ტეხნიკურზე.

სტუდენტებს ორი კორპორაცია დაუარსებიათ. ერთი მიზნად ისახავს ახალგაზრდათა წაქეზებას სწავლისადმი, მხოლოდ მეორე—დახმარებას ხელმოკლე სტუდენტობისადმი.

სომეხთა ცხოვრება

შვეიცარიიდან ბაქოს დაბრუნდა ცნობილი სომხის მწერალ-პუბლიცისტი ავეთიკ აჰარონიანი. იგი რუსეთის საზღვრებიდან იყო გაძევებული დაშნაკცაკანთა პარტიაში მონაწილეობის გამო და ახლა უმაღლესად სასჯელი ეპატია.

მაჰმადიანთა ცხოვრება

ამ დღეებში ბაქოს მაჰმადიანთა საქველმოქმედო საზოგადოებამ გამოაქვეყნა წლიური ანგარიში საიდანაც სჩანს: 1 მკათათვეს ხსენებულ საზოგადოების დახლში ყოფილა 83,358 მან. 1 იანვრამდე ბაქოს და ყარსის საქველმოქმედო საზოგადოებას მიუღია 69,147 მან. საანგარიშო წლის განმავლობაში საზოგადოება ჰგულისხმობდა 152,583 მანეთს და 38 კაპ. დღემდის ბაქოს საქველმოქმედო საზოგადოების განყოფილებას დაუხარჯავს გამოქცეულთა დასახმარებლად და საზოგადოებაში მოსამსახურეთა ჯამაგირისთვის 16,072 მანეთი და 92 კაპ. ამ ჟამად საზოგადოების დახლში არის 80,244 მან. და 88 კაპ.

რუსეთი

ქალაქთა კავშირის ლაზარეთებში.

სრულიად რუსეთის ქალაქთა კავშირის კომიტეტმა ოფიციალად გამოაცხადა, რომ ლაზარეთებში წესრიგის დაცვა და ყოველივე საქმეზე პასუხის გება ეკისრება უფროს ექიმს.

სამხედრო მინისტრი და ხვოსტოვი.

რუსეთის ქალაქებმა ამას წინად შუამდგომლობა აღძრეს საქალაქო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, მისცემოდათ მათ ახალი სესხი. ხვოსტოვმა ქალაქების ეს თხოვნა დააკმაყოფილა, მხოლოდ სამხედრო მინისტრმა პოლივანოვმა ხვოსტოვის მოქმედება უკანონოდ ჩასთვალა სამხედრო მოსაზრებით.

უცხოეთი

სპარსეთის ვითარება.

სპარსეთში დიდი ნაკლულევანებაა ხურდა ფულისა. ომამდე ინგლისელებსა ჰქონდათ უფლება ასიგნაციის გამოცემისა. მაგრამ გერმანელთა ინტრიგების წყალობით ყოველისფერი შეიცვალა. მათ [illegible] გაავრცელეს, ვითომც ინგლისელთა ბანკებს აღარ შეუძლიანთ ქაღალდის ფულის დახურდავება ვერცხლის ფულზეო. ამ რიგად ქაღალდის ფულის ღირებულება დიდად დაეცა. სპარსელები შეშფოთდნენ და ბანკისგან დაკმაყოფილებას მოითხოვდნენ. ვერცხლის შემოტანა და შევსება გაძნელდა ომის გამოისად. ეხლა დიდი კრიზისია. ინგლისელები დიდს საგონებელში ჩაცვივდნენ, თუ როგორ მოუარონ ამ საკითხს.

რედაქტორ-გამომცემელი

სანდრო შანშიაშვილი

გერმანეთში მყოფ დატყვევებულების ნათესავთა საყურადღებოდ.

ვისაც ჰსურს გერმანეთში მყოფ დატყვევებულებს გაუგზავნოს ფული ან სხვა რამ ამანათი, მან შემდეგის წესით უნდა იხელმძღვანელოს:

ამანათის („პოსილკა“) წონა არ უნდა აღემატებოდეს 12 გირვანქას. ყუთზე გერმანულად უნდა იყოს აღნიშნული ნამდვილი სია ყუთში ჩალაგებულ ნივთებისა. ყუთზე უნდა ეკრას ქაღალდი წარწერით:

An die Kommandatur
des Kriegsgefangenenlagers

აქ დააწერეთ ლაგერის ადრესი.

Liebesgaben für die russischen Kriegsgefangenen.

აქ ბიურო საკუთარ ბეჭედს დაჰკრავს და ადრესს წააწერს.

Deutschland.

საერთაშორისო საფოსტო შეთანხმების ძალით ასეთ ამანათს ფოსტა **უფასოდ** გზავნის, ეს ამანათი უნდა გაიგზავნოს შემდეგის მისამართით:

პირველი:

Suisse, Bern Ensingrenstrasse,
№ 48, A. A Бахерахтъ.

ან კიდევ მეორე:

Banque populaire Suisse, Fond Russe pour les prisonnier de guerre.

ცნობების მიღება უკვალოდ დაკარგულთა და ტყვეთა შესახებ შეიძლება შვეიცარიაში არსებულ ბიუროდან, რომლის მისამართი ასეთია:

Швейцарія — Заказное
Suisse. Recommandée
Comité International de la
Croix Rouge.
Agence des prisonniers de
guerre Genève.

ОТКРЫТА ПОДПИСКА
на 1916 г.
Природа и Люди
27-й г. изд.
Подписн. годъ начин. 1-го ноября
52 №№ художеств.-иллюстрир. журнала, свыше 1.000 стр.
52 №№ ХРОНИКА ВОЙНЫ съ многочислен. иллюстраціями.
ЗА ГОДЪ 4 руб. съ дост. и перес. 3 руб. 50 к. безъ дост. и пересылки.
Приложенія по выбору подписчиковъ за особую плату, а именно:
12 кн. журн. литер. новинокъ МІРЪ ПРИКЛЮЧЕНІЙ за доплату 2 руб. 60 к.
20 кн. собраніе сочиненій РЕДІАРДА КИПЛИНГА за доплату 3 рубл.
50 КНИГЪ НОВАГО СОБРАНІЯ СОЧИНЕНІЙ извѣстнаго писателя ЗА ДОПЛАТУ
ВАС. ИВ. НЕМИРОВИЧА-ДАНЧЕНКО 6 рублей 50 коп.
16 кн. художествен. изданія НАРОДЫ МІРА въ нравахъ и обычаяхъ. за доплату 3 рубл. 60 к.
12 кн. ежем. журн. самообр. ЗНАНІЕ ДЛЯ ВСѢХЪ за доплату 3 руб. 50 к.
УСЛОВІЯ РАЗСРОЧКИ: Разсрочка на журналъ и приложенія допускается въ два или три срока: Въ два срока: при подпискѣ половина стоимости журнала и выбран. приложеній и къ 1 мая остальныя. Въ три срока: при подпискѣ треть стоимости, къ 1 февраля еще 1/3 стоим. и къ 1 мая остальныя.
КАЖДОМУ ПОДПИСЧИКУ предоставляется право выписать журналъ безъ приложеній, либо съ однимъ или нѣсколько. прилож., но не одинаков., по собств. выбору. Приложенія безъ журнала не высылаются.
Подробн. объявленіе журн. высылается безплатно.
Главная Контора: Петроградъ, Стремянная, 12.
—ИЗД. П. П. СОЙКИНЪ.—

1 მაისიდან ქ. თბილისში გაიხსნა ჟურნალ-გაზეთების კანტორა
„განათლება“
ჯერჯერობით აგენტებს გაეგზავნებათ შემდეგი გაზეთები: „საქართველო“, „თანამედროვე აზრი“, „ეშ. მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“, „კავკაზსკოე სლოვო“, „თბილისის ლისტოკი“, „ორიზონი“, „შმაკი“ და „ხათაბალა“ და იყიდება ახლად გამოცემული წიგნები ა. ბლდონის „აკაკი და მისი პოეზია“ (რუსულ ენაზე), „სქესობრივი საკითხი და ბავშვი“ ი. გომართელისა, „მსოფლიო ომის ეკონომიური მიზეზები“—მასლოვისა, „ცხოვრების სიმღერები“—ბეგლარ ახოსპირელისა „კოოპერატივები იტალიაში“—ნ. ჟორდანიასი და სხვა-და-სხვა ქართული წიგნები.
აგენტები ვალდებულნი არიან მთელი თვით დაკვეთილი გაზეთების ფასი წინდაწინ გადაიხადონ.
ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, почт. ящ. № 96, Сильвестру Р Таварткиладзе.
კანტორის ადრესი: Ольгинская 6.

წიგნის მაღაზია
„ახალი სიტყვა“ („Новая рѣчь“).
ი. დ. კიკნაძისა.
თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.
გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნები; ვკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ. განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქგარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში.

თევზის მრეწველნი
ძმ. ძეგველოვები
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.
განყოფილება ავლაბარში
კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712
ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-შვით, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზალალა, მცირე მარილიანი, შავი „მეშოჩნი“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

სტამბა „ცხოვრება“ ა. კალანდაძისა, გა[illegible]ვის შესახვევი № 4.